




საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გამოდის სამშაბათობით №47 (1677) 7-13 ივლისი, 1998. • ფასი 50 თეთრი

„რა იქნება საქართველო დღევანდელი პრეზიდენტის გარეშე?..“



მესამე გვერდი



ასლან აბაშიძე
გამოიკვეთა, როგორც
ერთ-ერთი სერიოზული
კანდიდატი მომავალ
საპრეზიდენტო არჩევნებში

მესამე გვერდი

კოვენტარი
პრეზიდენტის
ორგანიზაციის
რადიო-
ინტერვიუზე

მეოთხე გვერდი

წინასწარჩევნო
ბრძოლა
მინისტრის
პორტფელისათვის?..

მეორე გვერდი



საქმიან რვენეან გამოგვიჩინოსო,
ანუ
დღეს მოღაუი
გოგი
თოფაქია...


მესამე გვერდი

ხაზინა —
პირველი
კორუფ-
ციონერი?

მეორე გვერდი

საბადასახადო
კოდექსის
სრულყოფა
გარდაუვალი
პროცესია

მეორე გვერდი



აფხაზები
და გუჯაროები

მეორე გვერდი

ამ ხალხმა
დაგულა სსრ
კავშირი და
ახლა
საქართველოს
ულიან...

მეათე გვერდი




Photo Ne



მეექვსე გვერდი

სოციალისტები
პრეზიდენტს პასუხს
სთხოვენ

პრობლემა: გადასახადები

საგადასახადო კოდექსის სრულყოფა გარდამავალ პროცესს წარმოადგენს



ინტერვიუ

ჩვენი გაზეთი ე. წ. „ჟურნალისტურ მოკვლევას“ აწარმოებს საქართველოსთვის ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე, როგორცაა საგადასახადო პოლიტიკა. ისმის რამდენიმე კითხვა: რამდენად ეფექტურია და შესაფერისია ჩვენი ფოფერებისათვის ახალი საგადასახადო კოდექსი? უწყობს თუ არა ის ხელს ჩრდილოეთი ეკონომიკის პატიოსან გადამხდელად გახდომას? რა უნდა გაკეთდეს — ანუ როგორ უნდა შეიცვალოს საგადასახადო და საბაჟო პოლიტიკა, რათა გადასახადებიდან და მოსაკრებლებიდან მიღებულმა საბიუჯეტო შემოსავლებმა მაქსიმალურად შეავსონ ხაზინა და ამავე დროს ადგილობრივი წარმოება წინ წავიდეს? ნობელის პრემიის ლაურეატი ეკონომიკის დარგში, ამერიკელი მეცნიერი ლეონტიევი თვლის, რომ ამ შემთხვევაში ოპტიმალურია შემოსავლების არაუმეტეს 30-40%-ით დაბეგვრა.

საქმეს იმით ვიწყებთ, რომ ძალიან ფრთხილად ვკითხულობთ ან ორგანიზების ხელმძღვანელების აზრს ამ პრობლემებზე და შემდეგ უფრო ღრმად გავაშუქებთ ცალკეულ საკითხებს. ამასთან, ვფიქრობთ, საინტერესო იქნება იმ ადამიანთა აზრის გაგება დღევანდელი საგადასახადო კოდექსის შესახებ, რომელთაც პრაქტიკულად უხდებთ შენება მასთან. ესენი არიან მეწარმეები — ქარხნების, ფაბრიკების, სხვადასხვა საწარმოების, კომერციული სტრუქტურების ხელმძღვანელები. გაზეთის რედაქცია თხოვს ამ პირებს, მოგვარდონ თავიანთი მოსაზრებანი, წინადადებები საგადასახადო კანონის სრულყოფის მიზნით.

ამჯერად, ვთავაზობთ საქართველოს საგადასახადო ინსპექციის უფროსის, ბატონ **ოლეგ ნიკოლეიშვილის** ინტერვიუს ამ თემაზე.

ბნი ოლეგი სულ რამდენიმე თვეა, რაც საგადასახადო სამსახურს ჩაუდგა სათავეში და საკმაოდ ენერჯულად, ახლებური ხედვით და რაც მთავარია, არასტანდარტული მეთოდებით ხელმძღვანელობს ამ უწყებას.

ოლეგ ნიკოლეიშვილი 45 წლისაა, დაიბადა სამტრედიის რაიონში, დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი. მისი იდეალური პოლიტიკური მოღვაწეა დავით აღმაშენებელი, დღევანდლობაში — ელენე შვეარდნაძე. საკუთარი ავტობიოგრაფია არა ჰყავს. ცოლშვილიანია, ჰყავს სამი შვილი. საყვარელი კერძი — საცივი, სასმელი — კახური რქაწითელი. მისი პოლიტიკური კრედიტ-კანონის უზენაესობა, თავისუფალ დროს უყვარს ვაზის მოვლა.

როგორი მანქანებით დაამთავრეთ I კვარტალი? რატენდენციები ისახება მომავალში?

საგადასახადო ინსპექციის მიერ მიმდინარე წლის I კვარტალში ბიუჯეტში კონსოლიდირებულია 70,7 მლნ ლარი, რის შედეგადაც გეგმა შესრულებულია 100,2 პროცენტით. ამა წლის I კვარტალში ბიუჯეტმა 12,1 მლნ ლარით მეტი თანხა მიიღო, ვიდრე გასული წლის მიიღო, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში. ზრდამ 20 პროცენტზე მეტად აღემატება.

აღსანიშნავია საგადასახადო ორგანოების მიერ ცენტრალური ბიუჯეტის ფორმირების საქმეში მიღწეული შედეგები. კერძოდ, ინსპექციის ხაზით ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავლებმა I კვარტალში 32,8 მლნ ლარი შეადგინა, რაც საგადასახადო მანქანების 700,9 ათ. ლარით, ანუ 1,3 პროცენტული პუნქტით აღემატება. ამავე პერიოდში უზრუნველყოფილია აგრეთვე ტერიტორიული ბიუჯეტების საგადასახადო შემოსავლების გეგმის შესრულებაც.

კიდევ უფრო დაძაბული ამოცანები დგას საგადასახადო ინსპექციის წინაშე წლის დანარჩენ პერიოდში. საკმარისია ითქვას, რომ II კვარტალის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების გეგმა 100 მლნ ლარს შეადგენს, ეს კი 42,8 პროცენტით მეტია I კვარტალის შემოსავლებზე. სულ წლის განმავლობაში დაგეგმილია, რომ ბიუჯეტში ჩაირიცხოს 425 მლნ ლარი, რაც 119 მლნ ლარით, ანუ 38,9 პროცენტით აღემატება გასული წლის მიღწეულ დონეს და მნიშვნელოვნად წინ უსწრებს მილიანი შიდა პროდუქტის მოცულობის სავარაუდო ზრდის ტემპს. ამ მაჩვენებლის შესრულებაზე ბევრად არის დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკის აღორძინება და მთელი რიგი სოციალური პრობლემების მოგვარება. ამიტომ მინდა კიდევ ერთხელ დაავიქსირო ჩემი პოზიცია: ბიუჯეტის კანონი და მისი შესრულება სავალდებულო, მათ შორის როგორც გადასახადის ამკრეფის, ასევე გადამხდელისათვის. ქვეყანაში ამის საკმარისი რეზერვი და პოტენციალი არსებობს, რაზედაც თვალნათლივ მტყუვლებს წლის განვლილი პერიოდის შედეგები. დასავლეთის მოვლენებთან დაკავშირებით შექმნილი სირთულეების მიუხედავად საგადასახადო ინსპექციამ შესძლო მთელი ძალების

მობილიზება და მის მიერ აპრობირების ბიუჯეტში ამოღებულია 57,1 მლნ ლარი, ანუ საშუალოდ თვეში 28,5 ათ. მილიონი, მაშინ როცა I კვარტალის ანალოგიური მანქანები 23,6 მლნ ლარს შეადგენდა. აღნიშნულის შედეგად მიმდინარე წლის 5 თვეში ბიუჯეტში მობილიზებულია 127,8 მლნ ლარი, ეს კი გასული წლის I ნახევრის შემოსავლების ტოლია და 29,7 მლნ ლარით, ანუ 1,3-ჯერ აღემატება ლარით, ანუ 1,3-ჯერ აღემატება 1997 წლის შესაბამის პერიოდში მიღწეულ დონეს. ვფიქრობთ, რომ ივნისის თვეში უნდა შევინარჩუნოთ და კიდევ უფრო უნდა ავაძაბოთ მიღწეული ზრდის ტემპი, ეს ციურებში 40 მილიონამდე ლარს შეადგენს, მისი შესრულება მნიშვნელოვნად წაადგება წლიურ პარამეტრებზე გასვლას და შესაბამისად ქვეყნის წინაშე მდგარ პრობლემათა გადაწყვეტას.

ეთანხმებით თუ არა მრეწველთა და მეწარმეთა აზრს, რომ საგადასახადო კოდექსი გადაჭვირვალად და არის მისი შეცვლის საჭიროება?

პირველ რიგში ხაზგასმით მინდა აღვნიშნო საქართველოს პრეზიდენტის, ქვეყნის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ის დიდი ძალისხმევა, რომელიც მიმართულია სამამულო წარმოების აღორძინების, მეწარმეთა დახმარებისა და სამეწარმეო საქმიანობის განვითარების ხელშეწყობის თვალსაზრისით. უკანასკნელ პერიოდში ამ მხრივ განხორციელებულია მთელი რიგი ღონისძიებები, საკმაოდ ლიბერალური გახდა საგადასახადო კანონმდებლობა, მონესრიგდა აქციზის განაკვეთები, გაფართოვდა დამატებული ღირებულების გადასახადისაგან გათავისუფლებული პროდუქციის ნუსხა, მოსახლეობის დიდ ნაწილს შეესო საშემოსავლო გადასახადში მომხდარი ცვლილებები და ა. შ. აღნიშნულმა ღონისძიებებმა უმოკლეს ვადაში უნდა გამოიღოს თავისი დადებითი შედეგები, ხელი შეუწყოს ადგილობრივ საფინანსო მეურნეობის მონესრიგებას და მდგომარეობის ნორმალიზებას.

ამ კონტექსტში ერთ-ერთ საეტაპო მნიშვნელობის მოვლენას წარმოადგენს პარლამენტის მიერ საგადასახადო კოდექსის მიღება. ეს უდაოდ წინგადადგმული ნაბიჯია ქვეყნის სახელმწიფოებრივი მშენებლობის გზაზე. რა თქმა უნდა, საგადასახადო კოდექსი ამ ეტაპზე არ არის

და არც შეიძლება იყოს დაზღვეული ხარვეზებისაგან. მთავარია, რომ ქვეყანაში შეიქმნას სორიდური საკანონმდებლო ბაზა. საერთოდ, საჩივრები საგადასახადო კანონმდებლობის მიმართ იმ ქვეყნებშიც საკმაოდ ბევრია, რომლებსაც გადახმედელებთან მუშაობის დიდი ტრადიციები გააჩნიათ, ამიტომ არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ კოდექსის მიმართ პრეტენზიები პირველ ხანებში ჩვენშიაც მოვალეად იქნება. აქ ის გარემოებაც უნდა გავითვალისწინოთ, რომ საგადასახადო კოდექსი ისეთი სიახლეა, რომელსაც ქვეყნის ისტორიაში პრეცედენტი არ გააჩნია და ისიც, რომ არც ჩვენს მეწარმეებს აქვთ საბაზრო პირობებში მუშაობის დიდი გამოცდილება.

ნაკლოვანებები კი ნამდვილად არის, საგადასახადო კოდექსის პრაქტიკაში განხორციელებამ დაგვანახა ის შეუსაბამოებები, რომლებიც გადამხდელებსა და საგადასახადო ორგანოებს შორის დავის საგანს შეადგენს. ამდენად, საგადასახადო კოდექსის სრულყოფა გარდაუვალ პროცესს წარმოადგენს და ამიტომაც იყო, რომ სულ ახლახანს პარლამენტმა მთელი რიგი სერიოზული ცვლილებები შეიტანა მასში. ეს პროცესი მომავალშიც გაგრძელდება მანამ, სანამ მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობა ოპტიმალურ სახეს არ მიიღებს, ვიდრე არ დამყარდება ბიუჯეტსა და გადამხდელს შორის ცივილიზებული ურთიერთობა. ამასთან, ისიც რეალობაა, რომ ასეთი ცვლილებების ინტენსივობა კოდექსის მოქმედების პირველ ეტაპზე შედარებით მაღალი იქნება.

როგორც ცნობილია, რამდენიმე ხნის წინ თქვენს სამსახურში განთავსდებოდა რამოდენიმე რაიონის საგადასახადო ინსპექციის უფროსი, უფრო დაწვრილებით ამის შესახებ.

თავიდანვე მინდა მოგახსენოთ, რომ საკადრო ცვლილებები თვითმიზანს არ წარმოადგენს. საერთოდ, ჩვენს მიერ განხორციელებული ნებისმიერი ცვლილება, იქნება ეს საკადრო შემადგენლობა, სტრუქტურული რეორგანიზაცია თუ სხვა, მხოლოდ და მხოლოდ ერთ მიზანს — ქვეყნისა და ბიუჯეტის ინტერესებს ემსახურება. დღეს უკვე შეიძლება ითქვას, რომ საგადასახადო ინსპექცია

წინასწარჩევნო ბრძოლა მინისტრის პორტფელისათვის?

არჩევნები მოახლოვდა! მერე რაო, იკითხავთ ალბათ.

რაღა... არც მეტი, არც ნაკლები, საარჩევნოდ გამზადებულეები ნამეტნად გააქტიურდნენ. ხერხებსა და ილიეთებს არ იშურებენ მიზნის მისაღწევად. „წყალშემდგარი“ სავარძელი კავშირგაბმულობის მინისტრისა საამისოდ ფიქრის საშუალებას ნამდვილად იძლევა. არის თუ არა ინჯის სავარძელი ნამდვილად წყალშემდგარი, ესეც საკითხავია. თვით კავშირგაბმულობის სამინისტროში ასე არ ფიქრობენ, თუმცა მიზეზთა და მიზეზთა გამო რომ მართლაც აქტიური მუშაობა მიმდინარეობს მინისტრზე და მის სავარძელზე, ალარც აქვებთ.

ეს უბრალო ატეხილი ხმაურია, ნერვების შემომშობა, რამდენ ხანს გაუძლებს მინისტრი? რომ იტყვიან, სხვადასხვა ასაქეტი პრესაში აუღლებენ მის სახელს. — ამბობს კავშირგაბმულობისა და ფოსტის მინისტრის პირველი მოადგილე ბატონი **ნოდარ ხარაბიშვილი**.

ექვები, ვის და რატომ არ უნდა მინისტრად ფრიდონ ინჯია, ათასგვარია. თვით მინისტრის მოადგილეს სამი ვერსია მაინც მოეპოვება. მაგრამ, სამწუხაროდ, დაუდასტურებელი, მხოლოდ ეჭვი. თუმცა მათ გამჟღავნებას „უსაბუთობის“ გამო მაინც არ ერიდებიან.

1. კავშირგაბმულობა ერთ-ერთი ძლიერი დარგია. ამ ბოლო დროს წინ წამოინია, პროგრესის გზას დადგა. ვილაცას იქნებ შური ამოძრავებს, ავი სურვილები?!

2. არც გარე დაინტერესებს გამოვრცხავთ. რაც ჩვენთან ხდება ხოლმე, გარე ძალთა ინსცენირების შედეგია ძალზე ხშირად პოლიტიკური დაინტერესება აუცილებლად საფიქრებელია ამ შემთხვევაში.

3. მაგრამ ყველაზე მეტად სავარძლის საკითხია გასარკვევი. იქნებ ვილაცას სხვისთვის უნდა და... — ამბობს ბატონი ნოდარ. სავარძლის სხვისთვის „ნომება“ ნებისმიერ დროს, „ჩვეულებრივი“ ამბავია, მაგრამ ახლა არჩევნების მოახლოვებასთან ერთად გარკვეულ ძალთა გააქტიურებამ სამინისტროში აქტიურობა აუღწრაფა, რომ სწორედ სავარძელზე სჭირდება ვილაცას ეს სკამი.

კავშირგაბმულობის სამინისტრო გარკვეულ გავლენას ახდენს ინფორმაციის მიმოცვლაზე, მის ხელშია მიღების და გადაცემის საშუალებები. ამასთან კავშირგაბმულობას ერთ-ერთი დონორ დარგია და ალბათ, ესეც უნდა გავითვალისწინოთ... სხვა მხრივ, ეს აურზაური რას უნდა ნიშნავდეს?

პერიოდულად გვამოწმებს კონტროლის პალატა, კვარტალში ერთხელ-საგადასახადო, უამრავი მაკონტროლებელი გვყავს და რამე კრიმინალი რომ ყოფილიყო, აქამდე გაგვპრობდნენ ტყავს, — ამბობს მინისტრის პირველი მოადგილე.

სამინისტროში ფიქრობენ, რომ ყველაფერი ნესრიგშია. ამის საფუძველს მსოფლიო ბანკის ექსპერტთა შეფასებაც აძლევს საკუთარი თვლით ნახულიან ერთად.

„სატელეკომუნიკაციო სექტორი ნაწილობრივ გათავისუფლდა და ახლა ბაზის ყველაზე მნიშვნელოვან სექტორზე მთელი რიგი კერძო და ნახევრადკერძო კომპანიები ფუნქციონირებენ. ზემოთ აღნიშნულმა მდგომარეობამ წარმოშვა დიდი ოდენობით ახალი ინვესტიციები და გარკვეული დონის კონკურენცია. რომელიც მეტად მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს“

(გაგრძელება მე-5 გვ.)

საზინა — პირველი კორუფციონერი?

ყველა ხედავს, რომ დღეს ქვეყანაში კორუფცია ჰყავს და ყველა დონეზე ყველამ იცის, ვინ არიან და სად არიან კორუფციონერები, მაგრამ ვინ იფიქრებდა, რომ სახელმწიფო ხარჯების ყაიროთიანად ხარჯვის მიზნით შექმნილი საზინა კორუფციონერთა პირველ რიგში აღმოჩნდებოდა და, არა მარტო აღმოჩნდებოდა, არამედ თავისი მოქმედებით დაინწყებდა სახელმწიფოს და ეკონომიკისა და იდუოლოგისათვის ძირის გამოთხრას და სახელის გატეხვას.

დღეს ბავშვმაც კი იცის, რომ საზინდან რაიმე ფულის გამოტანა — ხელფასი იქნება, პენსია თუ სხვა რამ, შეუძლებელია ისე, თუ გარკვეული რაოდენობის „წილი“ არ დასტოვებს. იმიტომ, რომ თვეობით ელოდებიან ხელფასებსა თუ პენსიებს.

ეს ციან — პრეზიდენტმაც, პარლამენტის თავმჯდომარემაც, პარლამენტმაც, ფინანსთა მინისტრმაც და სათანადო უწყებამაც, მაგრამ, მიუხედავად ამის, საზინა მაინც განაგრძობს თავის „სახელოვან“ და „გმირულ“ საქმიანობას და თვეობით სტოვებს უფულოდ ასეულობით ათას განამებულ

ადამიანს, რითაც მათ ძალაუფლებურად განაწყობს არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ და არაინ არის ამის გამკითხავი. პირიქით, როცა პრეზიდენტმა განაცხადა, რომ საზინა 5%-იან „წილს“ იტოვებს, საზინამ, არც აცხელა, არც აცივდა „წილი“ 10%-მდე აიყვანა; როცა პრეზიდენტმა და პარლამენტის თავმჯდომარემ განაცხადეს, „სტავკამ“ 10%-მდე აიწიაო, საზინამ ქვა აავლო და თავი შეუშვირა — რაკი ყველა დონეზე ცნობილია „ჩემი საქმიანობა“, არც ეს პროცენტია საკმარისი და ა. შ.

სხვათა შორის, „ავი ენები“ იმასაც ამბობენ, რომ ამ თანხის გვარიანი ნაწილი უმაღლეს ხელისუფლებაში მიდის, თორემ საზინას რატიმე არავინ უფრენს ბუზსო და ისიც მთელი გაქანებით ცდილობს ხალხის „მომადლიერებას“.

ასეა თუ ისე, საზინას რომ მიხედვა სჭირდება, აშკარაა და სანამ რაიმე სერიოზული ექსცესები მოხდებოდეს, კარგი იქნება, თუ ბატონი პრეზიდენტ მოიცლის მისთვის, თორემ მესამე ანტიკორუფციული კომისიაც რომ შეიქმნას, საზინას მაინც არაფერი ეშველება.

ზინად ძართველიშვილი.



ნოდარ ხარაბიშვილი



საზინა

საქართველს ჩვენთან გამოგვაჩინოს...

ანუ დღეს მოდელი გოგი თოფაძეა

თბილისური მოდის უცნაურობას უნდა მივაწეროთ ალბათ, რომ აქ ყველაფერთან ერთად ადამიანებიც, პიროვნებებიც შემოდიან მოდაში...

ასეთი ადამიანი ბევრს აღიზიანებს, ბევრს შურჯაყრულ ცნობისმოყვარეობას უღვიძებს, ბევრი უმიზეზო უნდობლობით უყურებს მათ და უმიზეზოდაც ხდება გულგრილი ყოველივე მოდურის მიმართ.

დღეს თბილისში მოდამი გოგი თოფაძეა...

ბატონი გოგი ჩემში რატომღაც მხოლოდ ქართულ ლუდი „ყაზბეგით“ ასოცირდებოდა, მაგრამ 19 ივნისს თბილისში მოწვეულმა მრეწველთა ყრილობამ, ეს ცალმხრივი წარმოდგენა სრულიად შემიცვალა: ლუდი „ყაზბეგი“ „გამოსასვლელი, ძვირფასი ტანსაცმელზე შემორტყმული პრიალა ქაშისი ასოციაციით დამიტოვა მხოლოდ, ამ ტანსაცმლის კარგად დათვალერების სურვილი კი ნამდვილად აღმებრა. არ ვიცი, მიაქციეს თუ არა ყურადღება — ალბათ მიაქციეს, დარბაზში მსხლმძმა უურნალოსტებმა იმას, რომ ყრილობის მსვლელობისას ნებისმიერი სიტყვით გამომსვლელების სასაუბრო ტექსტს აშკარა „ლიბტოტივად“ ვასდგედა გოგი თოფაძის პიროვნება: „ბატონ გოგის უნდა შევასწავლოთ“, „გოგი თოფაძეს ვერ დავეთანხმები“, „ბატონ გოგის უნდა დავეთანხმობი“, „ბატონ გოგისთან ერთად ვადაწვევით“ და ა. შ.

გოგი თოფაძე კი იყავა, საუბრობდა, უსმენდა, კამათობდა, ადანაშაულებდა თუ აქებდა ვინმეს, იყო რეალური, არაბანალური, სხვა, უფრო მაღალი „ჩინოსანებისგან“ (თვით პარლამენტარებისგანაც) განსხვავებით ეს მოდური ბიზნესმენი არამოდური, გაუზუთხავი ტექსტით, საქმის ცოდნით, სიღრმით, მართლაც პატრიოტული ქართული ტყვილით თუ სიხარულით, საკუთარი ერთი და არა პოპულარობამოსაპოვებელი ტერმინოლოგიით აკეთებდა ამას.

„ხე-ტყის გაჩეხვა კი არა, ვატანა უნდა აკრძალონ მკაცრად, საბაულოზე ვერ უნდა ხერხდებოდეს ეს. გაჩეხვა რომ არ მოხდეს, თითო ტყეში ორასი მეტყევე მაინც უნდა დააყენონ — ორასივე ბატიოსანი კაცი სად უნდა მოძებნონ? თქვენ, ბატონო მინისტრებო, ვინც ხელი მოაწერეთ ხე-ტყის კატანის ვიზებს, თვითონვე გამოუტანეთ განაჩენი საკუთარ თავს! კანონით დასჯის თუ არ გეშინიათ, შთამომავლობის რისხვისა და ღმერთის მაინც შეგეშინდით!“

„სად უნდა გაიტანოთ, ხალხო, ჯარით, რომელ ჯვარზე მყოფ სახელმწიფოს გააქვს დღეს ქვეყნის გარეთ ნედლეული?! თუ დღეს ვერ ამუშავებს რუსთავეის მეტალურგიული ქარხანა ამ ჯარის, ხვალ რომ მისი ამუშავებელი გამოჩნდება, დღეს 20 დოლარად გაყიდულ ჯარის ხვალ 80 დოლარად შემოიტანთ, ეს არის ბიზნესი!“

„პრეზიდენტი ბრძანებდა, მეწარმეებს და წარმოების განვითარებას შევუწყობთ ხელი და ისეთ კანონებს აწერდა ხელს, რომელიც დასაწყისშივე, ჩანასახშივე, სპობს მეწარმეობას. რით არიან ქართველები სხვებზე ნაკლები, გონი არ უჭრით, ნიჭი არა აქვთ, თუ წარმოების გაძლიერება არ შეუძლიათ სხვებზე უკეთესად?“

იმის თქმა, რომ ქართველებს ნამდვილად შეუძლიათ ქართული, კონკურენტუნარიანი პროდუქციის შექმნა ან ალორძინება, ბატონმა გოგმა კარგა ხანია საქმით დაამტკიცა და „საქმემან ჩვენთან გამოგვაჩინოსო“ — თქმის უფლებაც ნამდვილად აქვს დღეს ბატონ გოგი თოფაძეს...



დათ, არა?

— დიას, ამ ქარხნის მშენებლობა 1986 წლიდან 1990 წლამდე ინტენსიურად მიმდინარეობდა. იმ პერიოდის, განუკითხაობის პერიოდის პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამო, იძულებული გახდით მშენებლობა შეგვეჩერებინა. ყველაფერი გაიძარცვა, გააპარტახეს უკვე დამონტაჟებული საუკეთესო თანამედროვე მონოპოლიზებული, ტექნოლოგიები, დაჭრეს, დაიტაცეს შარშან ვიპოვეთ ცნობილი ფრანგული ფირმა და სრულიად მისაღები პროპორციებით დაკავშირდით. ჩადო ინვესტიცია და აღდგა ქარხნის მშენებლობა.

— თაღისთავად ცხადია, როცა ინვესტორი თვითონ და პატარა მოგებით არ კმაყოფილდება. როგორ ფიქრობთ, სადაც ინვესტორი აქციების 76-80%-ს ითხოვს თავის სარგებლობაში (როგორც ეს შარშან ქართული შამპანურის „ბაგრატიონის“ მაგალითზე მოხდა), შეიძლება ამას ინვესტიცია ეწოდოს?

— რა თქმა უნდა, გეთანხმებით. მე საერთოდ წინააღმდეგი ვარ ქართული პროდუქციის ასეთი პროპორციებით გაყიდვას, მითუმეტეს, რომ ჩვენ საკუთარი კადრებიც გვყავს, ტრადიციებიც გვაგვანია, ჩვენი პროდუქცია მაღალ ხარისხში ჩვენვე ავიყვანეთ. სამწუხაროდ, ეს ტენდენცია გრძელდება, რამდენი ქარხანა გაიყიდა ასე „დაუფიქრებლად“. იცით, ინვესტორი მაინც ინვესტორია, თითქოს

ლილოში რომ მშენებარე ლუდის ქარხანა გაიყიდა, მგონი ის ქარხანაც თქვენ გავუთვნო-

(გაგრძელება მე-5 გვ.)

ასლან აბაშიძე გაპოიკაითა, როგორც ერთ-ერთი სერიოზული კანდიდატი მოსაპულ საპრეზიდენტო არჩევნებში

— ბ-ნო მამუკა, დღეს საქართველოს გადარჩენის ერთადერთი ოპორტუნობაა საპრეზიდენტო არჩევნებში მხარდაჭერის და მოსაპულ პოლიტიკური ნრეები აჭარასა და მის ლიდერში ეძებენ. თქვენ და სახალხო პარტია განეკუთვნებით თუ არა მათ რიცხვს?

— ჩვენ თავი უნდა დავანებოთ მთელი პოლიტიკის სუბიექტებზე აგებას. შევხედოთ ობიექტურ სიტუაციას, ვითარებას და ამის მიხედვით ვიმსჯელოთ პოლიტიკურ საკითხებზე. დაგვლუპა ამ ათი წლის განმავლობაში „შენ ჩემი მზე ხარ ამომავალის“ მღერამ ხან ერთ, ხან მეორე პიროვნებაზე. დადგა დრო, ჩვეულებრივად ადამიანებმა მართონ პროცესები. როგორც ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში, პოლიტიკა არის ერთ-ერთი ძალიან მნიშვნელოვანი პროფესია და მას ბუნებრივი ინტელექტის მატარებელი ადამიანები ახორციელებენ. აქედან გამომდინარე, ეს კომუნისტური მიდგომა, რომელიც საქართველოში არსებობს, რომ ერთი კაცი უნდა იყოს აღმშენებელი ან დამაქცევარი, უნდა მოიშალოს. რაც შეეხება კონკრეტულ საკითხს, ბუნებრივია, ნამდვილად ვეთანხმები იმ აზრს, რომ ასლან აბაშიძე გამოიკვეთა როგორც ერთ-ერთი სერიოზული კანდიდატი მოსაპულ საპრეზიდენტო არჩევნებში. ნელ-ნელა იკვეთება ის გუნდიც, რომლის გარშემოც ის, გადანყვეტლების შემთხვევაში, იქნება ჩამოყალიბებული. ასევე გამოიკვეთა პარტიებიც, რომლებიც ნორმალურ ურთიერთობაში არიან ასლან აბაშიძესთან, თან გამოჩნდნენ ისინიც, რომლებიც

ალბათ უკვე ვეღარ მოახერხებენ (თუ რაიმე ისეთი მნიშვნელოვანი არ მოხდა) მასთან ურთიერთობის გარკვევას. ჩვენ ამას განვიხილავთ ჩვეულებრივ პოლიტიკურ მოვლენად. ის ემოციები და აჟიოტაჟები, რაც ამ პროცესს თან მოჰყვა, უბრალოდ, დაბალი პოლიტიკური კულტურის მაჩვენებელია.

— „ალორძინების კავშირის“ ყრილობაზე სახალხო პარტიის დასწრება თქვენი მეთაურობით სიმპათიას გამოხატავს ისახავდა მიზნად, თუ პოლიტიკური აღიარების დემონსტრაცია იყო?

— ალიანსზე საუბარი არ არის. სახალხო პარტიას „ალორძინების კავშირთან“ ძალზე ბევრი შეხების ნერტილი გააჩნია. მიპატიუბული ვიყავით ყრილობაზე და უბრალოდ მივესალმეთ მას. ეს პოლიტიკაში მიღებული ფორმაა, განსაკუთრებული არაფერი მომხდარა და რატომ ტყდება აჟიოტაჟები, ჩემთვის გაუგებარია. ბევრ საკითხთან დაკავშირებით, ჩვენი ერთნაირი ხედვა პარლამენტის საკანონმდებლო მუშაობაში გამოიკვეთა, ძირითადად თვითმმართველობის არჩევნების საკითხთან დაკავშირებით. არის სხვა ბევრი საკითხი, რომელიც ერთმანეთთან გვაშორებს. რა თქმა უნდა, ზოგიერთის მიმართ ჩვენი განსხვავებები მნიშვნელოვანია, რადგანაც ეს განსხვავება არსებობს, არ შეიძლება საუბარი რაიმე ალიანსზე და ამ ორი ორგანიზაციის ერთ ნაწილად აღქმავა ნორმალური დამოკიდებულება გვაქვს და მიგვაჩნია, რომ ეს ჯანსაღი, თანამედ-



როვე ურთიერთობაა, რომელიც უნდა იყოს პოლიტიკურ პარტიებს შორის, რადგან ვილაცა ჩემს აზრს არ იზიარებს ეს არ ნიშნავს, რომ ვილაცა მინიმუმ ჩემი და მაქსიმუმ საქართველოს მტერია.

— ფრაქცია „ალორძინებამ“ პარლამენტი დატოვა, თქვენ საზაფხულო არდადეგების დაწყების გამო ვერ მოასწარით იქიდან გამოსვლა თუ ესეც პოლიტიკური ტაქტიკაა?

— მოუსწრებელი არაფერი არ იყო, თუ სოციალისტებმა არდადეგების დაწყებამდე ორი დღით ადრე მოასწრეს — ფრაქცია „სახალხო“ ვერ მოასწრებდა? ეს აზრთა სხვადასხვაობაა და ბუნებრივად აღიქმება ჩვენს შორის. ამ კუთხით არანაირი პრობლემა არ დგას. ყველას თავისი გზა აქვს. ასე რომ არ იყოს, მაშინ ჩვენ ერთ ორგანიზაციაში ვიქნებოდით.

— თუ გამოვიდა, რომ მო-

(გაგრძელება მე-4 გვ.)

„რა იქნება საქართველო დღევანდელი პრეზიდენტის გარეშე?“


ამ კითხვას ხშირად გაიგონებთ საქართველოს პრეზიდენტის მხარდამჭერებისაგან. სხვა კონტექსტში, მაგრამ მაინც, ოპონენტებს შორისაც.

ასეთი კითხვა დაუსვებს ერთ-ერთ დღევანდელი პრეზიდენტის ცეკას (ც.კ.ს) მდივნობის დროიდან მის ნომინალურად დაფორტიანებულ და ყველა ნიუანსში კარგად გაცნობიერებულ, ან უკვე ასაკოვან, ერთ-ერთ პიროვნებას, როცა მან განაცხადა: „სანამ საქართველოს შევარდნაძე განაგებს, მას (საქართველოს რ. ს.) არაფერი ეშველება“. ო. მას (ამ პიროვნებას) პასუხზე უკან არ დაუხვია და უპასუხია: „თქვენმეტი წლის ბიჭი გამეფდა დავითი. არავინ იცოდა რისი გამკეთებელი იყო ის, მაგრამ ქვეყანას აღმაშენებლად მოველინაო.“

რამდენად ზუსტად ასახავს აქ ნათქვამი მასში აღნიშნულ მოვლენას, თავს ვერ დავდებთ, მაგრამ თვით ეს ისტორიული ფაქტია მნიშვნელოვანი დღევანდელ დღეს, რამეთუ, საქმისადმი ფორთხილი მიდგომისას, შეუცვლელობის სინდრომს ხსნის. ამას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ისეთ სიტუაციაში, როგორც საქართველოშია ამჟამად, მით უფრო, თუ ქვეყნის ხელმძღვანელი იმით პასუხისმგებელი იქნება კურსის სწორი კურსია, მე ვერ ვხედავ ვინმეს, რომ უკეთესი შემოთავაზოსო.

ამჟამად კონკრეტულ „ვინმეს“ შეთავაზებას არ ვაპირებ. სამწუხაროდ, ერთი ასეთი პიროვნე-

ბა აფხაზეთში „ჩარჩა“; მაგრამ ქვეყნისათვის აუცილებლად გადასადგმელი ნაბიჯების რეკომენდაციებს დაინტერესებული პირი უამრავს იპოვის, თუნდაც გაზეთ „საქართველოში“. სამაგალითოდ გამოდგება „პარასკევის კომენტარი ორშაბათის ინტერ-



ვიუზე“, შემატყვივარს ხელმოწევით. ერთი კია გაუგებარი, რატომ გულშემატკივარი არა? კურსის სისწორის შესაფასებლად გალის ბოლოდროინდელი მოვლენებიც ვმარა, საიდანაც თვალნათლივ ჩანს, რომ ჩვენი უმაღლესი ხელისუფალი არსებულ მდგომარეობას რეალურად ვერ ან არ აფასებს. ალბათ ობიექტური იქნება თუ ვიტყვი, „სოციალისტური რევოლუციის“ საფუძველზე აფასებს. (პრეზიდენტზე საუბარი შეიძლება კანდიდატურაში ჩამომერთვას, მაგრამ ჩემი ბრალი არაა. ტერიტორიული „მთლიანობის აღდგენის და დევილთა „ლირსეული დაბრუნების“ ყველა საკ-

ითხვე პირადი პასუხისმგებლობა“ მას თავის თავზე აქვს აღებული. გარდა ამისა, ის ქვეყნის პირველი პირია და პასუხისმგებელია ქვეყანაში მიმდინარე ყველა მოვლენაზე, თუ მომხდარა ფაქტზე ამ ქვეყნის ყოველი მოქალაქის წინაშე). ნუ

ნააქვებ ხალხს, მხარდაჭერას ნუ დაპირდები იმაში, რისი გამკეთებელიც არა ხარ და თუ ნააქვებ და დაპირდები (წინააღმდეგობის მოძრაობას ააგორებ), ტერორისტებად ნუ გამოაცხადებ და ააგაშა გზაში ნუ დააგდებ. მოკლედ, ხელისუფალი მტრის ნისქვილზე არ უნდა ასხამდე წყალს, ისიც მერამდენედ, თორემ „ფართე ომი“ რომ ჩვენი ქვეყნისათვის დამლუპველია, დღესდღეობით მაინც, არავინ არ დაობს — არც პოზიცია და არც ოპოზიცია. დაუშვებელია ხალხის წერვებზე თამაში, მოთ-

მინებასაც თავისი საზღვარი აქვს. თუ როგორც პრეზიდენტმა განაცხადა ერთ-ერთ რადიოინტერვიუში: „ყველაზე რადიკალური პოზიცია გამოხატა რუსეთის ხელმძღვანელობამ. იქ ერთ-ერთი უბრალოდ მიანიჭათ, რომ თუ მდგომარეობა სასწრაფოდ არ გამოსწორდება, იმას, რაც მოხდა, რა თქმა უნდა, სამშვიდობო ძალებს მონაწილეობითაც, უნდა მიეცეს როგორც გენოციდისა და ეთნოწმენდის შეფასება“, რა უშლის ხელს, ჩვენს პრეზიდენტს, რომ „რუსეთის ხელმძღვანელობის“ მიერ გაცხადებული ეს პოზიცია, „სამშვი-

(გაგრძელება მე-6 გვ.)

კომენტარი 29 ივნისის რადიოინტერვიუს

პრეზიდენტი პარტიას ეპოქას

პოლიტიკის დარგში

პრეზიდენტი მართალია იმაში, რომ ეკონომიკა დიდწილად განსაზღვრავს ქვეყნის ბედს, მაგრამ, რა თქმა უნდა, არ არის მართალი, როცა გულისხმობს, რომ მისი და მისი კოლეგების პოლიტიკა საქართველოს ეკონომიკას ზრდას ემსახურება და არა პირიქით. ამასვე არაერთხელ გვქონდა საუბარი და ყოველ კომენტარში ამას ვერ გავიწივრებთ. (შეგნებთ სხვათა შორის, რომ იგი წამსვე ვარდება უღრმეს ცდომილებაში, როგორც კი „დაუკრეფავში გადადის“ და თეორიის საკითხებზე მსჯელობას იწყებს. წინააღმდეგ მისი მტკიცებისა, დემოკრატია შეიძლება არსებობდეს ეკონომიკური წინსვლის გარეშეც. ე.წ. „სამხედრო“ თემური დემოკრატია, არაერთი ანტიკური ფორმა დემოკრატისა და სხვა). პრეზიდენტი მართალია, როცა იწინებს საქართველოს აეროდრომების საერთაშორისო ავიახაზებისათვის გამოყენების ახალშობილ პრაქტიკას, თუნდაც დღეს ჩვენ არ შეგვეძლოს რეისების მომსახურება, მაგალითად, სანავით გამართვა სათანადო სტანდარტების დონეზე და ამ საქმეში მთლიანად უცხო კომპანიები იყვნენ დასაქმებული. ასევე მხარდაჭერას იმსახურებს პრეზიდენტის პოზიცია, როცა იგი სიხარულით მსჯელობს საქართველოს ინტელექტუალური შრომის ნაყოფის გატანაზე მსოფლიო ბაზარში და თ.ლოლაძის ჯგუფის კონკრეტული მაგალითი მოჰყავს.


პოლიტიკის დარგში

პრეზიდენტი მართალია, როცა

ამბობს, რომ კორუპციულ ქვეყანას საიმედო პარტნიორად არავინ ჩათვლის. სამწუხაროდ მას ავიწყდება იმის თქმა, რომ კორუფციის დათრგუნვა შესაძლებელია მხოლოდ ორ შემთხვევაში (და, კიდევ უკეთესი, მაშინ, როცა ეს ორივე პირობა სახეზეა.) **ერთი.** კორუფციას ლახვარი ჩაეცემა მაშინ, თუ სახელმწიფო დემოკრატიულია და, ამგვარად, ინფორმაცია ეკონომიკური და სახელმწიფოებრივი პროცესების შესახებ, მაგალითად კრედიტების გახარჯვის შესახებ, ღიაა. **მეორე,** თუ სახელმწიფოს დასახული აქვს ისეთი მიზანი, რომელიც მოსაპარავ მილიონებზე უფრო დიდებულია და სახელმწიფოს საპასუხისმგებლო სამსახურში მხოლოდ ისეთი ადამიანები აპყავს, ვისაც ატყობს, რომ მათთვის ეს მიზანი ფუჭი სიტყვა არაა. შევარდნაძისა და მისი კოლეგების მიერ მართულ სახელმწიფოში არც დემოკრატია და ღიაობაა. არც ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მიზანი (პირიქით, განუხრელად ტარდება ეროვნული სახელმწიფოებრიობის დათრგუნვის კურსი). ასეთ პირობებში კორუფციასთან ბრძოლაზე დაპირაკი წყლის ნაყვია. გარდა ამისა, გაუგებარია, რატომ „არ შეუძლო“ პრეზიდენტ შევარდნაძეს კორუფციის თემაზე „ელაპარაკა“, მაგალითად, ყველა დიდი ქურდბაცაცა მოხლეჩები დაეპატიმრებინა „2-3 წლის წინათ“?

პრეზიდენტი მართალია იმაში, რომ მისი თანამდებობის პირს ძალიან ბევრ შემთხვევა-

ში არ შეეძინება პარტიებს მრავალი ისეთი განცხადებისა და ნაბიჯისაც კი, რომელმაც, მისი სიტყვით, უსარგებლო „დებატები“ შეიძლება გამოიწვიოს. ხელოვნურ კონფლიქტთა ორგანიზებას ხომ, როგორც მინიმუმი, ორი მოპირისპირე გუნდი სჭირდება და თუ ერთი მათგანი უარს ამბობს კონფლიქტში ჩაბმაზე, ეს უკანასკნელი არც შედგება.



პრეზიდენტი ხვანა

პრეზიდენტი სასტიკად ცდებოდა, პირველ ყოვლისა, მაშინ, როცა ფიქრობს, რომ პრივატიზაცია (თუნდაც მას „პრივატიზაციას“ სახე არ ჰქონდეს) დასაშვებია ისეთ საგანთა განაწილების საქმეში, როგორცაა პაველი, მზის შუტი, წყალმომარაგების ან ელექტრონით მომარაგების ერთადერთი სისტემები. კერძო სექტორის შექმნა ხომ ახლის შექმნილად ხდება და არა მხოლოდ უპკვ არსებული ხელში ადებით. ამ საგანთა „პრივატიზაცია“


დღეს (ნაიკითხეთ, მონოპოლიური პრივატიზაცია) მხოლოდ მომავალი უსაზღვრო ექს-

პლოტაციის საფუძველია. დიდი შეცდომაა (უკეთეს შემთხვევაში) პრეზიდენტის აზრი, რომ „ენერჯის გადაცემის, გენერაციისა და განაწილების“ გაუმჯობესების დაფინანსება „შეუძლებელია პრივატიზაციის გარეშე.“ და დიდი ცოდვია ქვეყნისა და ხალხის წინაშე, იგი რომ არ ამბობს (ანუ მსმენელს უმაღავს) იმ ფაქტს, რომ ჯერ კიდევ 1992-93 წლებში იყო არაერთი დასავლური წინადადება საქართველოში ახალი საშუალო და მცირე ჰესების საკუთარი სახსრებით აშენების შესახებ, რომელიც უარყოფილ იქნა. ან როგორ შეიძლება დაფინანსების პრობლემა დაუძლეველი იყოს ენერჯის სისტემისთვის, რომელიც კილოვალტაჟით ენერჯის ოთხნახევარჯერ უფრო ძვირად ყიდის, ვიდრე მისი თვითღირებულება?

რაკი, პრეზიდენტის სიტყვით, „ყველაზე საშიში უძრაობაა“, მას მტკიცედ გადაუნყვებია ამოძრავება კორუფციასთან ბრძოლის საქმეში და რაკი, ამასთან ერთად, მაჯაში ძალას გრძნობს (როგორც იტყვიან), მსმენელს პრობლას აძლევს, რომ ბრძოლას თვითონ გაუძღვება. ვადა? კიდევ 2-3 წელიწადი პირველ შედეგებამდე და ეს მიუხედავად იმისა, რომ კორუფციის ყველაზე „საბაზო“ ღონისძიება — კორუპციულ მოხელეთა რეპრესირებას — ოდნავ მეტი დრო თუ სჭირდება, ვიდრე კონტროლის პალატის მონაცემთა მიტანას პალატიდან პროკურატურამდე.

პოლიტიკის დარგში
პრეზიდენტი არა თუ ცდებოდა, არამედ ყველა ზნეობრივი და იურიდიული ნორმის წინააღმდეგ მიდის, როცა, ერთის მხრივ, ფიქრობს, რომ კანონის რეორგანიზაციის თემა „საერთო-სახალხო განხილვის“ საგანი უნდა გახდეს, მაგრამ ამავე დროს ასეთი „განხილვის“ გარეშე აძლევს თავის თავს უფლებას უკანონო გამოქმნა „საშუალო ოსოტი“ იხმაროს და საქართველოს ზურგში ჩასაცემი დანა ლესოს ამგვარი „ერთულის“ შექმნის მცდელობით ცდება იგი ტერმინების „ძლიერი პრეზიდენტის“ და „ძლიერი პარლამენტის“ გაგებაშიც, უგულვებელყოფს რა, რომ პრეზიდენტს „ძლიერება“ ამ ტერმინებში ნაგულვლისმგვია მისი ძლიერება პარლამენტთან მიმართებაში და პირუკუ პირობა „ახალ კლანებს არ შექმნით“ რადიომსმენელს ესმის როგორც ძველი კლანების ძალაში დატოვების განზრახვა. რაც შეეხება პრეზიდენტის დებულებას, რომ კონსტიტუციის ცვლის საჭიროება თვით მოვლენათა განვითარებამ მოიტანა და არა ქვეყნის ძირითადი კანონის საკუთარ სადღესო საქართველებზე „მორგების“ სურვილმა, ძნელი წარმოსადგენია, იგი მსმენელთა დიდმა ნაწილმა დაიჯეროს.
პრეზიდენტს ჯიუტი და მოუცილებელი შეცდომა — რომ აფხაზეთის პრობლემა რუსეთის მონაწილეობით მოგვარდება და უნდა მოგვარდეს — 29 ივნისის ინტერვიუში კვლავ მორიდება. ალბათ დროა მას არა „დანაშაულებრივი გულუბრყვილობის“, არამედ „გულუბრყვილობის“ დანაშაულებრივი სიმულაციის“ კვალი ფიქვია მიეცეს.

შემატებული



(მე-3 გვერდიდან)

ქალაქთა კავშირთან მართლდარჩით პარლამენტში... არ გინახიათ?

ბოლო პერიოდში ისეთი ტენდენციები შეიჩინება, მგონია, მოქალაქეთა კავშირიც გადის პარლამენტთან. აი, მაშინ კი მოგვეცემა საშუალება სახალხო პარტიებთან ხალხის პოზიციები გამოვიტანოთ. თუ მოქალაქეთა კავშირი გავა და სოციალისტები დაბრუნდებიან, ძალიან გამიხარდებათ, ვერ ვიტყვი ნამდვილად. თუ ერთად წავლენ, კარგი იქნება.

„ბოროტი წინასწარმეტყველები“ ამბობენ, მოქალაქეთა კავშირის პარლამენტთან წასვლას, მათი თავმჯდომარე ზურაბ ჟვანიაც თან გაჰყვება...

ეს ბავშვური იდიოტიზმია. რისთვის გადისხარ და რა ახალ არჩევნებს ითხოვ, ან ვის ატყუებ და რა დემოგოგიას ეწევი... რა გინდა, როცა უმრავლესობა აგერ გაყავს, დააჭირო უსტრებს ხელი და მიიღე გადაწყვეტილებები. ზუსტად ამას ვდაობდით, როცა ლარსსა და ზუგდიდში დარ-

ასლან აბაშიძე გამოიკვეთა, როგორც ერთ-ერთი სერიოზული კანდიდატი მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში

ბოდენე დროებით. ასეთი ქმედებები შეიძლება ოპოზიციამ განახორციელოს, რომელსაც ხმები არ ჰყოფნის თავისი გადაწყვეტილების გასატანად, მაგრამ, როცა ხელში 140 პულტი გაქვს... მაშინ ხომ არ უჭირთ, მინისტრის დამტკიცებაზე რომ არის ხოლმე საუბარი, ან როცა შეკვეთილი კანონი შემოდის და ფინანსური უზრუნველყოფა ხდება. თუ არა და, აღიარე, რომ პოლიტიკურად უმნიშვარი ხარ და არ გაქვს საშუალება, ხალხი მართო.

ეს მრისხანება სულ ჟვანიას ექნება?

მას და მთელ მოქალაქეთა კავშირს. უბედურება ის არის, რომ ეს ხალხი შევარდნაძის ზურგიით, კვირიას და მისთანების ხელშეწყობით მოვიდა პარლამენტში, დღეს კეთილი უნდა ინებონ, შევეგონ იმას, რომ სხვისი ბრძანება უნდა ასრულონ. გააზნაურებული მდაბიფს მომენტია, აქაო და გავექი და მეტი მინდაო. რა ზღაპრებს გვიყვებიან აქ ჩვენ, ვინ უშლით ხელს, საკუთარი პარტიის თავმჯდომარე? ასეც რომ იყოს, რა ჩვენი პრობლემა ან გადაწყვეტილება მიიღონ, ან თავი დაანებონ იმ უაზრო დემოგოგიას, რასაც სააკაშვილი და ადამია ეწევიან. უნდა სცოდნოდით, რომ შევარდნაძესთან საქმე არ გამოუვიდოდათ. აბა, ეგენი დამასწრებდნენ მე პრეზიდენტთან ყოფნას?

— თქვენს პარტიას რამდენად რეალურად ეჩვენება მინისტრთა კაბინეტის რეფორმის ჩატარება. ვარაუდობენ, რომ ახლო მომავალში მისი განხორციელება პრეზიდენტთან ოპოზიციის ჩახუტებას წარმატებით შეუწყობს ხელს. თქვენ არ გაქვთ ამის სურვილი?

— რეალური იმდენად არის, რამდენადაც შევარდნაძეს ეს უნდა. მას, როცა პერსონალურად რაღაცა უნდა, ძალიან ხშირად აღწევს, ცოტა სახელმწიფოებრივად მიღწევა უჭირს. გადმოვადებული ძეღლი არც ისე პატარა ნაჭერი, ხორციც მოჰყვება მას. ვისაც სურვილი აქვს მიბრძანდეს, ძალიან გაგვიხარდება, ჩვენ ასეთი სურვილი არ გვაქვს. თეორიულ შანსს არ გამოვრიცხავ, მაგრამ ღრმად ვარ დარწმუნებული, შევარდნაძე ანი აღარ შეიცვლება. სრულებით არ გვინდა სახალხო პარტია იყოს, როგორც მკვდარზე. ვენოკი, ამისთვის ძალიან ბევრი პოლიტიკური ორგანიზაცია აცხადებს პრეტენზიას და იკლავს თავს. დაე, ისინი იყვნენ მასთან ერთად ამ ტორტის განაწილებაში ჩვენ მონაწილეობას არ ვეძებულობთ.

— ადგილობრივი არჩევნების ჩატარებას ოპტიმისტურად უყურებთ?

— ჩვენ კი, მაგრამ ეჭვი გვეპარება, ხელისუფლება წავიდეს ამ არჩევნებზე. თუ სურდა, გაიზარებდა ჩვენს წინადადებას-კანონში ჩაენერდით

ვდას, როცა უნდა ჩატარებულიყო არჩევნები. ეს პრეზიდენტის კეთილ ნებაზე დამოკიდებული. მსგავსი ქმედებები გვაფიქრებინებს, რომ ხელისუფლება გაურბის ადგილობრივ არჩევნებს. ასე პრინციპული ბიჭები რომ არიან მოქალაქეთა კავშირის ახალგაზრდობაში და ახლა გადადგომით იმუქრებიან, შევარდნაძის გარეშე ჩაენერათ თარიღი კანონში.

— მოქალაქეთა კავშირის მზადყოფნა არჩევნებისთვის ლაგოვანში ჩატარებულმა მოთელვამ ხომ დადასტურა უკვე?

— კი, მაგას თუ მოთელვა ჰქვია... ის კამათი, რაც ლაგოვანში გამოიწვია, შევთავაზეთ რომ გაგვეთვალისწინებინა საარჩევნო კანონში, თუნდაც იგივე სიბის რეგისტრაციის საკითხი. მოქალაქეთა კავშირმა კვლავ დატოვა თეთრი ლაქა, რათა მომდევნო არჩევნებზე ისევ მოხდეს სერიოზული გაყალბება და დარღვევები. აქვს ჩანს მათი პოლიტიკური ნება.

— კონკრეტულად, რომელ საკითხს ექნება ეს თეთრი ლაქა?

— ვთქვათ, საკითხს ამომრჩეველთა წინასწარი რეგისტრაციის შესახებ. რატომ მიგვეყავს საქმე მაინცდამაინც არჩევნების დღემდე და შემდეგ ხუთი წლის წინ გარდაცვლილი კაცის სახელით აგდებს ვიღაცა ბიულეტენს? ცსკ-მ და საოლქო საარჩევნო კომისიებმა დაარეგისტრიროს ამომრჩეველები. პრაქტიკულად

ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრი არ არსებობს მექანიზმი, სადაც შეიძლება საპარტიო-სახალხო გაარკვიო. აპროცენტრალი არჩევნები რომ მოიგო, ცსკ-მ თუ გადაწყვიტა, რომ წაგე, არ არის შესაძლებლობა, თუნდაც სასამართლოში განიხილო საქმე. ეს ვეტომატურად ნიშნავს, რომ ცსკ „მოქალაქეებისა“, რასაც უნდათ, იმას გადაწყვეტენ ისე, როგორც ლაგოვანში გააკეთეს.

— გამარჯვების იმედი მოქალაქეთა კავშირის გენერალურ მდივანს ლაგოვანში მოსახალხოების მაღალი პოლიტიკური რეიტინგიდან გამომდინარე ჰქონდა, თქვენ რას ფიქრობდით?

— პოლიტიკური რეიტინგის იმედით დიდხანს ვერ გასტანს მოქალაქეთა კავშირი, რადგან იგი ნულს ქვემოთ არის ჩამოსული. მათი „მთელი მიღწევა“ ერთ კოლოგამ ფქვილზე გაიყიდა. ჩვენ საკმაოდ სერიოზული რეზულტატი მივიღეთ ლაგოვანში. ოფიციალური ცსკ-ს ვერსიით შესაძლო ადგილზე გავვიდეთ. ისე, რომ არცერთი დარღვევა და ფინანსური გადახარჯვა ჩვენი მხრიდან არ ყოფილა. ეს კი ნიშნავს, რომ მომავალ არჩევნებში, თუ კანონიერად ჩატარდება, გამარჯვება სახეზე იქნება. ისე, როგორც ლაგოვანში, საპატიო მცირე მესამე ადგილი გარანტირებული გვაქვს. ჩვენი ძირითადი არგუმენტი მოსახლეობის თვალში რეალური ავტორიტეტია და პოლიტიკური გავლენა. იმედიც ეს არის, რომ სახალხო პარტიას არჩევნებში სერიოზული რეზულტატი ექნება.

ესაუბრა ხათუნა ხაბიაშვილი

წინასწარჩევი ბრძოლა მინისტრის კორტეჟისათვის?

(მე-2 გვერდიდან)

გენს. უკვე დამონტაჟებულია 100-150 მლნ. დოლარის ახალი მონტაჟები და აღჭურვილობა. ამაში შედის 180000 ადგილობრივი და საქალაქთაშორისო საკომუნიკაციო სადგური, 2 თანამედროვე საერთაშორისო სისტემა, 4 სახმელეთო სატელეფონო სადგური, ძლიერი მიკროტალღოვანი და ბოჭკოვანი საქალაქთაშორისო გადაცემის ხაზები, ინფრასტრუქტურა 50000 ფიჭური ტელეფონის აბონენტებისათვის, ინტერნეტის რამდენიმე სისტემა, ორი პატარა საპეიჯერო სისტემა, მთელი რიგი პატარა საქალაქთაშორისო მობილური სისტემები.



ყველა ზემოაღნიშნული ძირითადი საშუალება წარმოადგენს იმ მყარ მიზნებს, რომელმაც ხელი შეუწყო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, სულ რაღაც 2 წლის წინ ძალიან ცუდ მდგომარეობაში რომ იყო და არანაირი პერსპექტივა არ გააჩნდა.

თუ გავითვალისწინებთ იმ მძიმე გარემოებებს, რომლებიც მიმდინარე პერიოდის დასაწყისს ახასიათებდა, მათ ფონზე ეს მიღწევები აღნიშნის ღირსია, ვინაიდან უკანასკნელი 1-2 წლის მანძილზე მათ გარკვეული წვლილი შეიტანეს საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში (მსოფლიო ბანკის ექსპერტთა შეფასება).

პრობლემები, რაღა თქმა უნდა, აქაც აქვთ და კარგადაც ხედავენ. როგორც ბატონმა ნოდარმა გვითხრა, მათი გადა-

ჭრის გზებსაც ეძებენ, მაგრამ იმ დიდი ღვაწლის დაკარგვა, რაც ამ დარგს ქვეყნის ეკონომიკის აღორძინებაში შეაქვს, დაუშვებელია.

— ჩვენ ბიუჯეტიდან არაფერს

ლარი გახლავთ, მოსახლეობა კი 1 ლარს იხდის. ეს იმის ხარჯზე ხდება, რომ არ კეთდება არანაირი რემონტი — არც მიმდინარე, არც კაპიტალური.

აი, ეს უკვე გაურკვეველია ჩვენი, როდემდე უნდა გაგრძელდეს ასე?

იქნებ ტარიფების მონესრიგებამდე (ეს ხომ პრობლემათა შორის უმთავრესად დაასახელა მინისტრის მოადგილემ). ტარიფების მონესრიგება მის გაზრდას ხომ არ გულისხმობს?!

ტარიფების ამბავიც ისევე გაურკვეველია, როგორც მინისტრისა? კიდევ და კიდევ როდემდე გაგრძელდება ასე?

თუმცა, „მინისტრს პრეზიდენტი ნიშნავს და თუ ის ჩათვლის, რომ ჩვენ ყველაფერს ვანგრევთ და მინისტრი თავის დონეზე არ დგას, საკითხის გადაწყვეტას საქროებისამებრ.“

მანანა გელოვანი

რამდამცინისაბნე: სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ მავანი და მავანი ხელს არ აძლევს კავშირგაბმულობის სისტემის ხელშეწყობაში გამართული მუშაობა და სხვადასხვა გაზრდას თუ ტელეკომუნიკაციების ყოველნაირად ცდილობენ მათს უსაფუძვლო „კომპრომიტირებას“. უფრო უპირანი იქნება, თუ ვიტყვით, რომ ვიღაცეები, შესაძლოა სულაც „მოკვებშიდან“, კიდევ ერთი უწყისი ხელში ჩაგდებას ცდილობენ, თუმცა, იმედი, ამას ისინი ვერ შეძლებენ, რადგან ვფიქრობთ, პრეზიდენტი მათ ხელში არ ჩაუგდებათ კიდევ ერთ დარგს გასადაგურებლად.

ვლელბობობ, პირიქით, იქეთ ვისდით ფულს. მარტო შარშან 26 მლნ. ლარი შევიტანეთ. აღსანიშნავია, რომ ყოველგვარი სესხის მიღების გარეშე აღორძინდა ეს დარგი. სახელმწიფოს გარანტიების გარეშე შემოტანილი გვაქვს 160 მლნ. დოლარის კრედიტი, მექანიზმი, რომელიც ჩვენ მოვიგონეთ საგარანტიოდ უცხოელ ინვესტორთა დასაინტერესებლად, მოწონებას იმსახურებს.

ვანყობთ. ფორუმებს, ჩამოდიან სპეციალისტები უცხოეთიდან და სხვათა შორის, მათი მხრიდან ძალიან მაღალი შეფასებები გვაქვს — გვისსწის ბატონი ნოდარი.

— თვითღირებულება თვეში სატელეფონო მომსახურებისა 4

«მერიის შურბელები რაიმე დაგვასვენს კისრებზე... წნევა კი არა გვაქვს!»

დედაქალაქის მოსახლეობის იმ უმრავლესობას, რომელსაც ბედმა არ გაუღიმა და „გასასალელებული ინფორმაციებით“ სრული არ არგუნა წილად, სამარშრუტო ტაქსები მოუვლინა მშველელად. ლამის წალკოს თბილისი ყველანაირი ტიპის „უცხოური“, „სამამული“, ახალი, ძველი, ათასნაირად გადაღებულ-გადაკეთებული, სავარძლებშეცვლილი, თუ შეუცვლელი სამარშრუტო ტაქსებით — მოდური ტრანსპორტით. ზოგიერთი მოხერხებულობით. გამორჩეული მძღოლი, მგზავრთა რაოდენობის გაზრდის მიზნით სავარძლებს შორის დამატებით გასაშლელ თუ ჩვეულებრივ სკამებს, „ტაბურეტებს“, „ჯორჯებს“, დერმანტინგადაკრულ თუ გადაუკრავ ფიცრებს ამატებს და სრულებით არავითარ უხერხულობას არ გრძობს, როცა ასეთ „კომფორტულ“ ადგილას მიტყელებილ მგზავრსაც იგივე საფასურს ახდევინებს, როგორც სხვებს.

ზოგჯერ ცალი ფეხის შედგმა თუ მოსწარი საფეხურზე, მერვე პაერშიც რომ გქონდეს დარჩენილი, მგზავრების „პერეხვატით“ აქებარებული მძღოლი ისე მოწყვეტს ადგილიდან მანქანას, შეიძლება უკვე ნებიერად მოკალათებული მგზავრის მუხლებზეც აღმოჩნდეს, ან ბარათიანი კოპებითაც დაიმშვენი თავი. თუ გახედო და საყვედური წამოგცდა, ისე გამოვლანძვას მძღოლი, „მტკვარც ველარ გაგრეცხავს“, „მომარობას მავერებინებ, ნუთუ არ იცი ყოველ ნაბიჯში ინსპექტორები რომ არიან ჩასაფრებულნი...“ იმათ კიდევ მომარობის შეფერება და წესების დარღვევა სულაც არ სჭირდებათ ხანდახან, ისედაც მშვენივრად ახერხებენ თავიფურად „ააგლი-ჯონ“ საკუთარი ტარიფებით დაწესებული „ტაქსა“. თუ ამ დროს მძღოლი გავიუტდა და ლარიანი ვერ გაიმეტა (რომელიც მხოლოდ „ამ სიცხეში დგომისათვის“ დაანესეს საგზაო მოძრაობის მომწესრიგებლებმა), იწყება გაუთავებელი ვაჭრობა და ვაჭრები, მანქანაში მომლოდინე, დაგვიანებით შემოვლელი, მოთმინებადაკარგული მგზავრები მათი „დეულის“ დასასრულის მოლოდინში ჭირის ოფლში რომ ინურებიან, არც ერთს არ აინტერესებს.

ეს მედლის ერთი მხარეა. მეორე მხარეც ხომ აქვს მედალს, პოდა, გადმოვებრუნოთ ახლა: — სამარშრუტო ტაქსები ორი ტიპის არის თურმე, „სახელმწიფო“ და „კერძო“, ანუ „მგზავრით“ და „უგვამოდ“, ნაყიდი ლიცენზიის მომუშავე მანქანები. — გვემა დღეში 8 ლარი გვაქვს ჩასაბარებელი. 15 ლარის ბენზინს ვისხამთ, არც ერთ ტანჭიკს, არც ერთ საბურავს, აბსოლუტურად არაფერს არ გვაძლევს გაერთიანების გარაჟი, დაუმტყეთ ამას ინსპექტორების „ტაქსებიც“; თუ დაჯარებულა დაგვიპირა, ველარაფრით დაუმტკიცებ, არაფერი რომ არ დაგირღვევია. ისე, ხანდახან დარღვევაც გვისხდება ჭირვეული მგზავრების გამო. აქ გამიჩერო — რომ გიბრძანებს, აბა ვაჟკაცი ხარ და ნუ გაუჩერებ ორი ნაბიჯის გადადგმა არ უნდათ ფეხით. „მე ფულს იმიტომ ვიხდი, სადაც მინდა იქ უნდა გამიჩერო.“ — გიბრძანებს და მორჩა. ინსპექტორსაც ეს უნდა. მგზავრის ჩამოსმას კიდევ არა უშავს, იქნებ როგორმე გადაიჩერე ჯარომას, მაგრამ ასეთ ადგილებში 1 მგზავრის აყვანა მთელი იმ დღის ნამუშევარი დაგიჯდება. ზოგჯერ გაჩერებ ჩამოსამელად

და ამ დროს იქვე ამომსვლელიც თუ გამოჩნდა, აი მაშინ გაქვს საქმე ცუდად. გუშინ ფილარმონიასთან ყავარჯენიანმა ინვალიდმა გამაჩერა. სანამ მგზავრების დახმარებით, რის „უივაგლახით“ თავის ყავარჯენიანად ადგილი დაიკავა, იქვე მდგომმა ინსპექტორმა, რომელსაც უკვე მარცხენა ხელის გული აუქვავ ფულის მოლოდინში და გაფაცოცებული ადვენებდა ამ სცენას თვალს, მხოლოდ მაშინ გამაჩერა, როცა მანქანა დაჰძარი, „ამდენ ხანს რატომ იდევტი, მოძრაობას აფერხებდიო“ — დამიბტიცა და 15 ლარი დამიჯდა ის, რომ იმ ინვალიდს მანქანაში ვეღვივით ცქციტად ამისვლა არ შეეძლო... ერთხელ ძალიან სქელმა ქალმა ჩასვლისას ფეხი წაიკრა და დავეცა. სანამ თანამგზავრებმა წამოაყენეს, მანქანაში დაფანტული წივები აუკრიფეს და ჩანთაში ჩაულაგეს, იგივე ინსპექტორმა (ჩვენ თითქმის ყველას ვიცნობთ სახეზე) ისევ 15 ლარით დამაჯარიმა...

— რად მინდა გაერთიანება რომ გააკეთეს — აღარ აცლიან მძღოლები ერთმანეთს — დირექტორები, ბუღალტრები, გარაჟის უფროსები, მონაგარიშეები, „მითქავეები“ დაამსკრივეს, მაინც არაფერს გვიკეთებენ და გვემა თუა საქმითა, უმაგათოდ ვერ ჩავაბარებ იმ რვა ლარს?

— ავტოპარკის დირექტორს, ნოდარ ხარაიშვილს შევედავე ერთხელ რაღაცაზე ვუთხარი, გაქმე, გასმე, და კიდევ შენ მიყვარ-მეთქი? შენ რა, მამადლიო? — გაიკვირვა ბატონმა ნოდარმა. — აბა რა, არ დაგამადლო შე გაცო? მოდი, ერთ დღეს გავცვალოთ ადგილები, მე დავვადები აქ კაბინეტში, შენ გადი რეისში და საღამოს ფულს რომ მომიტან, ვნახავ ერთი, როგორ არ დამამადლიო-თქვა, ასე ვუთხარი პირდაპირ.

— ამდენი „ნაჩალნიკები“, მუქათაბორები, ინსპექტორები თუ მერიის წურბელები რომ დაგვასხეს კისრებზე, წნევა კი არა გვაქვს ჩვენ! — „კერძო“ ტაქსების სამომარო ლიცენზია 100 ლარი ღირს, ეს ყოველდღიურობაზე გადატანით დაახლოებით 35 ლარია, ეს არის სულ რასაც ისინი ბიუჯეტისთვის იმეტებენ.

— რამდენად ციცი, მათი სამარშრუტო ხაზი საკმაოდ სოლიდური თანხის

საფასურად იყიდება, მაინც როგორ?

— ხაზი 2-დან 3000 დოლარამდე ღირს, მაგრამ ხაზსაც გააჩნია, მაგალითად, №77 მარშრუტი ნაღველიად ვიცი 7000 დოლარად გაიყიდა.

— და ბევრია ქალაქში ასეთი ხაზები?

— უმარავი, როცა მერიის თანამშრომლებს ფული აღარ ჰყოფნით, ხაზები როცა გაჯერებულია, ახალ მარშრუტებს იგონებენ და „ხაზს ხაზზე სვამენ“, ეს კი ძირითადად, გეგმით მომუშავე მარშრუტებს უშლის ხელს. კონკურენცია რომ გაგვეწია ნაყიდ ხაზებზე მომუშავე მარშრუტებისთვის, იძულებული გახდით საფასური გაგვიავებინა. ამაზე კი მერია იმით გვიპასუხა, რომ გვემა 8 ლარამდე გავვიზარდა, როგორ მოგწონთ?

P.S. მართალი გითხრათ, რა არის აქ მოსაწონი თუ დასაწუნებელი, მკითხველი უკვე განსჯის. მძღოლების ხუმრობაზე კი ჩვენარად აღბათ ბევრს გაეცინება ტკივილნარევი სიცილით.

ნატა სალუშვაძე

საქმეაან ჩვენთან ბამოგვპაჩინოს... ანუ დღეს მოდაში გოგი თოფაქია

მოტანილი იაფფასიანი პროდუქცია ყოველთვის გაუწევს კონკურენციას, როგორც ამჟამად ხდება. თანაც, ტყავის სავარძლებში მოკალათებული „ზემდგომები“ ყოველნაირად ცდილობენ, რაც შეიძლება დაიხსანს გაიხანგრძლივონ თავიანთი ჯიბეების იოლად გასქელების შანსი.

— მენარმეთა ყროლობაზე თქვენს მიერ წარმოდგენილი საგადასახადო კოდექსის პროექტი იმდენ საინტერესო ცვლილებებს ითვალისწინებდა, მეფეება, იგი მიღებული და გათვალისწინებული იქნეს. როგორ ფიქრობთ, გაიტანთ ბოლომდე?

— ამის იმედი არც მაშინ გვექონდა, როცა ამ პროექტს ვამუშავებდით და არც დღესაც გვაქვს. მთავრობამ თუ დამოკიდებულება არ შეცვალა მენარმეებისა და საგადასახადო პოლიტიკის მიმართ, უახლოეს მომავალში ეკონომიკა მთლად დაიქცევა. ჩვენ მზადა ვართ ჩვენი შემოსავლის ნახევარი გავუყვით მთავრობას, ამაზე ლამის ვოცნებობთ, ნუთუ საკმარისი არ არის? მსოფლიო პრაქტიკაში ცნობილია, რომ, რაც უფრო მაღალია გადასახადი, მით უფრო დიდია ჩადილოვანი ეკონომიკა, მით უფრო ღარიბდება ბიუჯეტი. ჩვენმა მთავრობამ ეს შესანიშნავად იცის, მაგრამ „რატომღაც“ თვალს ხუჭავს... ჩვენი საგადასახადო კოდექსის პროექტი არ დამტკიცდება, მაგრამ დოკუმენტი ხომ დაიდება და შთამომავლობის წინაშე მაინც ვიქნებით მართლები; ადრე, თუ გვეგონა, რომ ჩვენი აღმასრულებელი ხელისუფლება გამოუცდელია, გულბრწყინობით და უცოდინარობით ატარებდა ასეთ მასწრობელა

საგადასახადო პოლიტიკას, დღეს ყველაფერი ნათელია — ეს დანაშაულია, რაზეც ალბათ მათ ოდესმე შთამომავლობა პასუხს აგებინებს.

— მენარმეობის ჩახშობა — ხომ არ არის ეს ჩვენს მთავრობაზე საერთაშორისო სავალუტო ორგანიზაციების, მსოფლიო ბანკების ზეწოლა?

— რა თქმა უნდა, მათ ჩვენი სავალუტო კურსი ხელში უჭირავთ და მარყუჟში გვაყოფინებენ თავს. ის მოსალოდნელი კრედიტი უფრო მეტს ნიშნავს მათთვის, ვიდრე ადგილობრივი წარმოების აღორძინება.

მენარმეთა კავშირი პოლიტიკური ორგანიზაცია არ არის ჩვენს ბოლომდე ვიდგებით ჩვენს აზრზე, მათივე ყველაფერს ინახავს; ჩვენ ვთავაზობდით, მათ არ მიიღეს...

ნატა სალუშვაძე

P. S. ბატონ გოგი თოფაქთან ჩემს ინტერვიუს გაზეთ „ასავალ-დასავალის“ ერთ-ერთი კორესპონდენტის ინტერვიუც დაემთხვა.

კიბებზე რომ ჩამოვდიოდით, კოლეგას რატომღაც ჩემი აზრი გავუზარე მე. აღფრთოვანებული ვარ ამ ჭკვიანი ბიზნესმენით, თქვენ რა აზრის ხართ მეთქი. გოგი თოფაქე მდიდარი კაცია და პირველ რიგში ყველას ეს ალაფროთოვანებსო — მიპასუხა.

სასტად დაფრჩი... თბილისში ბევრი მდიდარი კაცია, უმეტესობა ამაზრზენი, ფულით და ამბიციებით გაბერილი ტყია მხოლოდ-მეთქი რომ ვუთხარი, ირონიულად გაიღიმა. რას ვიხამთ, ყველა თავისი გადასახედიდან ხედავს...



(მე-3 გვერდიდან)

ქართველ კაცს მაინცდამაინც ის სჭირდება...

— გაჩერებულ საკონსერვო ქარხნებზე რას იტყვით, შეიძლება ქართულ ხილს გარეგნული, საცალო, სასაქონლო სახე არ ჰქონდეს იდეალური, მაგრამ წვეწების, ლიმონათების და სხვა საკონსერვო წარმოებაში მისი წვნიანობის, არომატულობის გამო მგონი ბადალი არ უნდა მყავდეს.

— ნამდვილად, ქართულ ხილს შესანიშნავი მეგვიანობა და სხვა ნებისმიერი საუკეთესო თვისებები აქვს საკონსერვო წარმოებისათვის. მთავრობა რომ ხელს უწყობდეს წარმოების სწორად განვითარებას, რაში გვჭირდება ჩვენ თურქეთიდან შემოტანილი საექვო ხარისხის ტომატ-პასტები? პირდაპირ, მინდურებში, პლანტაციებში ჩადგმული საკონსერვო ქარხნები გვაქვს მარნეულში, გარდაბანში, გორში და ბევრგან. ჩვენი ფორთოხლის და მანდარინის წვენები ოდითგანვე ცნობილი იყო. რატომ უნდა შემოვიტანოთ ქართველებმა ხილის ჯემები, მურაბები, კიტრის წილები გარედან. რატომ ვსაობთ და ვახშობთ ამ ქართულ ტრადიციებს? მაგრამ იმდენად დაუხვეწავი და მასწრობელია საგადასახადო, საბაჟო სისტემები გვაქვს, მენარმეს ხელ-ფეხი აქვს შეკრული, მისი პროდუქცია იმდენად ძვირადღირებული გამოვა, შე-

რა იქნება საქართველო დღევანდელი პრაზიდენტის გარეშე?

(მე-3 გვერდიდან)

დღემო ძალების მონაწილეობით, „გენოციდისა და ეთნოკლენდის“ ოფიციალურად დააფიქსირებინოს ჩვენს პარლამენტს (თუნდაც მისი სურვილის „საწინააღმდეგო“, გათამაშებული სცენარით) და განგაში ასტეხოს, რომ აფხაზეთში ეთნოკლენდის კი არაა, რუსეთი ეწვეა გამოუცხადებელი ომს, რომ „გენოციდისა და ეთნოკლენდის“ მონაწილე „სამშვიდობო ძალებმა“ დაუყოვნებლივ უნდა დასტოვონ საქართველო. გაუფიქრებელი ილი სჯობსო, — უთქვამს ქართველს და ხელისუფლებამ აუცილებლად უნდა გადადგას ეს ნაბიჯი, სანამ მას, ენგურის გასწვრივ, ფრონტის ხაზს გაუხსნიან ეს „სამშვიდობო ძალები“, აფსუა და რუსეთის მოქალაქე — ბოვიკების ხელით (ცხადია, რუსეთის ხელისუფლების ბრძანებით და არა რეაქციული გენერლების ინიციატივით, რაშიც ასე გულმოდგინედ გვარანძუებენ).

დღეს ამის არგამკეთებელი ხელისუფლება, მით უფრო პირველი პირი, ძნელად თუ შემორჩება, უფრო ვერ შემორჩება სავარძელს. ეს ცუდია საქართველოსთვის, რამეთუ ხელისუფლების საკეთებელი საქმე თვით ხელისუფლებამ უნდა აკეთოს და არა ოპოზიციამ, ხალხთან ერთად მაგრამ თუ ხელისუფლება თავის საკეთებელ საქმეს თავს არიდებს, ან თავს ვერ აბამს, უკეთესია მისგან განთავისუფლება. ხელისუფლებას ქვეყნის ინტერესების დასაცავად ირჩევენ და არა მისი საკუთარი ინტერესებისა. ვისაც ამის გაგება არ სურს, ან არ შეუძლია, უნდა წავიდეს, წავიდეს ისევ ქვეყნის სასიკეთოდ, როგორი მიძიმე დროც არ უნდა იდგეს ქვეყანაში, რამეთუ ასეთი ხელისუფლების ხელში მდგომარეობის კიდევ უფრო დამძიმებაა მოსალოდნელი.

აქ ნათქვამიდან გამომდინარე, ადვილი გასაგები უნდა იყოს თუ რატომ ვრჩები გულგრილი, მიუხედავად საკუთარი თავის „ჯანსაღი ძალებისადმი“ მიკუთვნებისა, პრეზიდენტის ისეთი მიმართვისადმი, რაც სისხლს უნდა უდუღებდეს ადამიანს და მის გვერდით დგომის სურვილს ალუქრავდეს: „ასეთ დროს, როცა ქვეყანას უჭირს, როცა ქვეყანა ერთიანი უნდა იყოს, მთელი ჯანსაღი ძალები გაერთიანებული უნდა იყვნენ. ეგრეთ ნოდებული, საპარტიკო დემარშები, მათ შორის, პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნით, ნიშნავს იმას, რომ ქვეყანას ახალი ეპოქისა და ანარქიისაკენ ვუბიძგებთ. ესე იგი, ეს ნიშნავს იმას, რომ (მეამას წინათ ვასხენე მესუთე კოლონის მსგავსი) იმ ძალების ნისკვილზე ასხამს წყალს, რომლებმაც მთელი ეს, ასე ვთქვათ, ჯოჯოხეთი მოაწყვეს. ბრძენი კაცები, და ასეთები ჩვენში ბევრია, შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსები, საზოგადო მოღვაწენი, პოლიტიკური ძალები, მათი ლიდერები, ქვეყნის მოქალაქენი, რომელთაც მრავალი განსაცდელი გამოიარეს, სანამ საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს კონსტიტუციას გამოკვეთდნენ, მაქვს იმედი, არავინ მისცემენ უფლებას ქარს გაატარონ ჩვენი მონაპოვარი.“

როცა ხელისუფლება სისტემატურად და ერთი და იმავე მეთოდოლოგიით აკრის სასარგებლო საქმეს აკეთებს (ხელისუფლების მოქმედებას, დიდი სურვილის მიუხედავად, სამწუხაროდ, სხვა ახსნა არ ეძებნება), მტერს მტრად მხოლოდ ჩვენს დასაშინებლად და მისაშრობად აცხადებს, ოფიციალურად მსოფლიოს ამას არ აუწყებს, უფრო მეტიც, შუამავლად იხდის მას

და მის დაკრულზე ცვაკვას, ასეთი ხელისუფლება უფრო მეტი ზიანის მომტანია „დამოუკიდებელი სახელმწიფოს კონსტიტუციისათვის“ (რის ახალ ზურგსაც კვლავ რუსეთი გვთავაზობს), ვიდრე ამ ხელისუფლების გადაყენების მოთხოვნა, თვით გადაყენების ჩათვლით.

შემზარავია პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნა, მით უფრო შემზარავი, თუ გავიხსენებთ რა მოყვა საქართველოს პირველი პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნასა და მის წინააღმდეგ მოწყობილ გადატრიალებას, მაგრამ ხალხს უთქვამს — რასაც დასთეს, იმასვე მოიმკო.

თუ ხელისუფლებას სურვილი აქვს, რომ მის გარშემო გაეროთიანდნენ, რომ „ბრძენმა კაცებმა, ... შორსმჭვრეტელმა პოლიტიკოსებმა, საზოგადო მოღვაწეებმა, პოლიტიკურმა ძალებმა, მათმა ლიდერებმა, ქვეყნის მო-

სადაც ლაბარაკია სახელმწიფოსა და მოქალაქის (პროცენტის) ურთიერთვალდებულებასა და ურთიერთ პასუხისმგებლობაზე, ეროვნულ თანხმობასთან ერთად, ამას უნდა დაემატოს, რომ სამოქალაქო საზოგადოება მოქალაქეებისაგან შედგება. მოქალაქე კი წარმოუდგენელია მოქალაქეობის შესახებ კანონის გარეშე. ამ კანონის მიხედვით, დღეისათვის დემოკრატიის ეტალონად შინიულ ქვეყნებში, იქნება ის ეროვნული, თუ არაეროვნული, ყველა მოქალაქემ უნდა იცოდეს სახელმწიფო ენა, იცოდეს და პატივს მიაგებდეს მის ისტორიასა და კანონმდებლობას, იბრძოდეს ქვეყნის ინტერესებისა და ღირსების დასაცავად, წინ აღუდგეს მის ხელყოფას. ვინც ამ მოთხოვნებს ვერ დააკმაყოფილებს, ქვეყნის მოქალაქეობას ვერ მიიღებს. მხოლოდ მას შემდეგ, რაც პროცენტმა მზადაა დააკმაყოფილოს (ამას საქმით დადასტურებს) მოქალაქეობის კანონის მოთხოვნები, მას შეუძლია ქვეყნის მოქალაქეობა მიიღოს და ყველა სხვა მოქალაქის თანაბარ პირობებში იგრძნოს თავი. მაგრამ არც მეტი, არც ნაკლები. ამით იმის თქმა მინდა, რომ კანონი მოქალაქეობის შესახებ ეფუძნება, ფაქტურად, საბჭოთა რუსეთში წარმოქმნილ ცნებას —

„ეროვნული უმცირესობები“ და ამ ცნების ქვეშ გაერთიანებულ ადამიანებს არავითარ სამართლებრივ, პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ უპირატესობას არ ანიჭებს, გარდა იმ უფლებისა, რომ ისინი იყვნენ ენაზე და თავიანთ ენაზე შეიძინონ პროფესია, ჰქონდეთ ეროვნული კულტურული-საგანმანათლებლო ორგანიზაციები და ამითი მონაწილეობა მიიღონ საკუთარი ერის ტრადიციებისა და წინააღმდეგობის განვითარებაში, ე. ი. ჰქონდეთ კულტურული ავტონომია.

არის თუ არა რაც ზემოთ ვთქვი სახელმწიფოს მიერ თავისი მოქალაქეებისათვის დაწესებული აუცილებელი იდეოლოგიური მოთხოვნა, რისი შესრულებაც მოთხოვნილია ყოველ მათგანს, რა ეროვნებისაც არ უნდა იყოს ის? რა თქმა უნდა, არის. გამოდის, ყველა დემოკრატიულ ქვეყანას ზეგთავისი მოქალაქეებისადმი ნაყენებული იდეოლოგიური მოთხოვნები, რამეთუ სახელმწიფო, მით უფრო ეროვნული სახელმწიფო, ვერ იარსებებს ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესების, თუნდაც ეს სამოქალაქო საზოგადოების ჩარჩოები იყოს, გათვალისწინებული იდეოლოგიის გარეშე.

თუ ყველა დემოკრატიული ქვეყნის შესახებ ზემოთ აღნიშნულ მოთხოვნებს საქართველოს მაგალითზე განვიხილავთ, გამოდის, რომ საქართველოს ყველა მოქალაქემ უნდა იცოდეს ქართული ენა, წარმოადგენა უნდა ჰქონდეს მის ისტორიასა და კანონმდებლობაზე, უნდა იბრძოდეს საქართველოს ინტერესებისა და ღირსების დასაცავად, წინ აღუდგეს მათ ხელყოფას. ამასთან, საქართველოში მცხოვრებ „ეროვნულ უმცირესობებს“ არ შეიძლება, დემოკრატიულობის მოთხოვნით, მიეცეთ ისეთი უპირატესობანი, როგორცაა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობა, საპარლამენტო ქვობები და ა. შ. ეს, უფლებრივად, მკვიდრი ეროვნული მოქალაქეებთან განაზრებული, „ეროვნული უმცირესობის“ წევრი მოქალაქეებისათვის უპირატესობის მინიჭებისა და, უფლებრივად, მკვიდრი ეროვნების მოქალაქეებზე მაღლა დაყენების პირდაპირი მაჩვენებელი იქნება ასეთი „ინ-

ქალაქებმა“ თანადგომა გამოუცხადონ, ისიც უნდა იცოდეს, რომ ამას დამსახურება უნდა — ეროვნული ინტერესების დასაცავად ამით ქვეყნისათვის სასარგებლო საქმის კეთება. აი, რით შეიძლება თანადგომის დამსახურება.

ვიცი, შინაგანად ვგრძობ, რომ ხელისუფლება, პირველი პირის ჩათვლით, და მრავალი სხვა „ლიბერალი“ „პროცენტული ფაშისმას“ და ანტიდემოკრატიულობაში დამდებს ბრალს, მაგრამ მე შევეცდები ვაჩვენო („უფრო ზუსტად, დავაპტიკებ), რომ მათი დემოკრატიზმია სოციალისტურ-რუსული ბუნების და, ამიტომაც, პროცენტული აურის მატარებელი.

ყველაზე დემოკრატიულად ითვლება ის სახელმწიფო, სადაც ხელისუფლებას ირჩევენ სამოქალაქო საზოგადოება, ხოლო ის (ხელისუფლება) ემსახურება მას (სამოქალაქო საზოგადოებას) და უზრუნველყოფს ამ საზოგადოების პარამონიულ არსებობას და განვითარებას. სამოქალაქო საზოგადოების საყრდენი პრინციპებია: 1. ეკონომიკური თავისუფლება, საკუთრების ფორმათა მრავალგვარობა, საბაზრო ურთიერთობანი; 2. ადამიანისა და მოქალაქის ბუნებრივი უფლებების აღიარება და დაცვა; 3. ხელისუფლების დემოკრატიული სასათი და მისი ლეგიტიმურობა; 4. ყველას თანასწორობა კანონისა და მართლმსაჯულების წინაშე, პროცენტის საიმედო იურიდიული დაცულობა; 5. სამართლებრივი სახელმწიფო, რომელიც აღიარებს ხელისუფლების დანაწილებას, და ამ ხელისუფლებათა ურთიერთობას ეყარება; 6. პოლიტიკური და იდეოლოგიური პლურალიზმი, ლეგალური ოპოზიციის არსებობა; 7. სიტყვისა და პრესის თავისუფლება; 8. სახელმწიფოს ჩაურევლობა მოქალაქეთა პირად ცხოვრებაში, სახელმწიფოსა და მოქალაქის (პროცენტის) ურთიერთვალდებულება და პასუხისმგებლობა; 9. კლასობრივი ზავი, პარტნიორობა, ეროვნული თანხმობა; 10. ეფექტური სოციალური პოლიტიკა, რაც უზრუნველყოფს ცხოვრების ღირსეულ დონეს.

ყურადღება მინდა გავამახვილო მე-8 და მე-9 პუნქტებზე, (გაგრძელება მე-10 გვ.)

სოციალისტური პრაზიდენტის პასუხს სოსოვან ზიგლიოთიძეს

საქართველოს სოციალისტური პარტიის მთავარი კომიზგვის მიმართვა

საქართველოს პრაზიდენტის, საქართველოს მთავალათა აკვირის თავმჯდომარისადმი

ბატონო პრეზიდენტო!
საქართველოში პოლიტიკური ვითარება უკიდურესად დაიძაბა. ამჟამად პოლიტიკური ცხოვრების კრიზისილიზაცია და კრიმინალური სამყაროს პოლიტიზაცია. თუ მანამდე ეს პროცესები მხოლოდ კორუფციაში იჩენდა თავს, დღეს პოლიტიკის კრიმინალიზაცია ახალ ფაზაში შევიდა. დაინკვირეთ სსსრ-ის ბრძოლა ხელისუფლებისათვის, რომლის პირველი სიმპტომები ლაგოდეხში გამოიკვეთა. დღეს მთავარი უკვე ის კი აღარ არის, თუ როგორი მატინაციებით წაგლიჯა გამარჯვება მოქალაქეთა კავშირმა სოციალისტური პარტიის კანდიდატს — ვ. ბაქრაძეს. არამედ ის, თუ სადამდე მიიყვანს ქვეყანას მართლმადიდებელი პარტიის, განსაკუთრებით კი მისი ახალგაზრდული ფრთის, სმაკის კრიმინალიზაცია.

ყაჩაღური მეთოდებით ბრძოლის პრაქტიკას და სამაგალითოდ არ დასჯის დაწინაურებას, მათი ჩინისა თუ თანამდებობის მიუხედავად, ჩვენ მივმართავთ ყველა კომპეტენტურ საერთაშორისო ორგანიზაციას, საქართველოში ად-



ამიანის პოლიტიკურ უფლებათა უბეში დარღვევების გამო, გამოვიყენებთ მშვიდობიანი პოლიტიკური ბრძოლის კანონით დაშვებულ ყველა ფორმას.

ჩვენ არ გამოვივივართ ვიწრო-პარტიული ინტერესებიდან. ჩვენ გვსურს მართლაც სამართლებრივი სახელმწიფოს აღმშენება, სადაც კანონი იკანონებს და არა ძალმომრეობა. დამნაშავეები რომ დაწინაურდნენ, იმედი გვაქვს, რომ მათი დასჯის საშუალება იქნება აცილებული ერთ-ერთი თავდასხმელის, გ. რეხვიას შვილის მკვლელობა, რომელმაც თელავში დაბრუნების შემდეგ ახალი დანაშაული ჩაიდინა და დაუსჯელობის სინდრომით განაშუქული ადამიანები თავდადევ გაუსწორდნენ.

ორი ახალგაზრდა დილუმა: ერთი მოკვდეს, მეორე — მკვლელად აქციეს. ეს არის გარდაუვალი შედეგი იმ პროცესისა, როცა ძალადობა სახელმწიფო პოლიტიკის რანგში აწყავთ. როცა კანონი არ კანონობს, მოსახლეობაც პირადი ანგარიშსწორებითა და ლინჩის წესით იცავს თავს.

ბატონო პრეზიდენტო!
სამწუხაროდ, თქვენ დღემდე კონსტიტუციის დარღვევით განაგრძობთ პარტიის თავმჯდომარის თანამდებობის შეთავსებას, რაც თქვენი პარტიის ზოგიერთი წევრის, განსაკუთრებით, ახალგაზრდების ცნობიერებაში დაუსჯელობის შერქმევას ამკვიდრებს.

თქვენ ხომ მთელი საქართველოს პრეზიდენტი ხართ და არა ამ ერთი გზააბნეული ჯგუფისა! მხოლოდ თქვენი გაკიცხვა და ბოდიშები მათ არ შეეძლებს. დღეს უკვე უმძიმეს პოლიტიკურ შეცდომებთან კი არა, აშკარა კრიმინალთან გვაქვს საქმე.

ნუ შესწირავთ ვიწრო-პარტიულ ინტერესებს მშვიდობასა და დემოკრატიას, აკვეთეთ ძალადობა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ბოლო მოუღეთ ფსიქიკურ და მორალურ ტერორს. ყველა დამნაშავე უნდა დაისაჯოს, მათ შორის, დეპუტატიც და ნებისმიერი თანამდებობის პირიც. წინააღმდეგ შემთხვევაში არავითარი არჩევების ჩატარებას აზრი არ ექნება, ამას სჯობს, პირდაპირ გამოცხადდეს ერთ-პარტიული დიქტატურა.

ჩვენ მსრუც ვაცხადებთ: სოციალისტური პარტიის თითოეულ წევრზე აღმართული ხელი მიუღს პარტიაზე განხორციელებული თავდასხმა. პარტიის მთავარი კომიტეტი მოუწოდებს სოციალისტური პარტიის ყველა წევრს, — არ აწყენენ პროვოკაციებს და შეინარჩუნონ სიმშვიდე ჩვენ არ დავეშუქებთ პოლიტიკური კვლავ კრიმინალური მეთოდების დანერგვას. მაგრამ თუ ხელისუფლება ძირშივე არ აღკვეთს

ბატონო პრეზიდენტო! საქართველოში პოლიტიკური ვითარება უკიდურესად დაიძაბა. ამჟამად პოლიტიკური ცხოვრების კრიმინალიზაცია და კრიმინალური სამყაროს პოლიტიზაცია. თუ მანამდე ეს პროცესები მხოლოდ კორუფციაში იჩენდა თავს, დღეს პოლიტიკის კრიმინალიზაცია ახალ ფაზაში შევიდა. დაინკვირეთ სსსრ-ის ბრძოლა ხელისუფლებისათვის, რომლის პირველი სიმპტომები ლაგოდეხში გამოიკვეთა. დღეს მთავარი უკვე ის კი აღარ არის, თუ როგორი მატინაციებით წაგლიჯა გამარჯვება მოქალაქეთა კავშირმა სოციალისტური პარტიის კანდიდატს — ვ. ბაქრაძეს. არამედ ის, თუ სადამდე მიიყვანს ქვეყანას მართლმადიდებელი პარტიის, განსაკუთრებით კი მისი ახალგაზრდული ფრთის, სმაკის კრიმინალიზაცია.

მხოლოდ რამდენიმე კონკრეტული ფაქტი:

1. მას შემდეგ, რაც გაირკვა, რომ ვ. ბაქრაძემ არჩევნების პირველივე ტურში მოიპოვა გამარჯვება, ერთ-ერთი საარჩევნო უბანი დაარბიეს, რასაც უშუალოდ ადასტურებს არაერთი მოწმე, მათ შორის, უცხოელი დამკვირვებლებიც.

2. ლაგოდეხში სმაკს მიერ თელავიდან ჩამოყვანილი დამნაშავეები თავს დაესხნენ და სასტიკად გაუსწორდნენ დეპუტატ თ. ჯგუშისა და სოციალისტური პარტიის სხვა წევრებს. დამნაშავეთა ვინაობა ცნობილია, თავდასხმის ფაქტი დაფიქსირებულია ვიდეოფირზე და გადაიცა სატელევიზიო ეთერში.

3. 23 ივნისს დეპუტატ თ. ჯგუშისაზე თავდასხმა განხორციელდა უკვე პარლამენტში; სმაკის წევრებმა — ალავიძემ და გუნავამ უკვე ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს მას, რაც ასევე დაფიქსირებულია ვიდეოფირზე და გადაიცა სატელევიზიო ეთერში.

4. იმავე დღეს პარლამენტის ტრიბუნაზე და სატელევიზიო გადაცემაში სმაკს და სმაკის ლიდერებმა განაცხადეს, რომ ასეთი თავდასხმები სისტემატურ სახისათს მიიღებს. მათ პირდაპირ მოუწოდეს მოქალაქეთა კავშირის დეპუტატებს და სმაკში გაერთიანებულ ახალგაზრდობას პოლიტიკურ ოპონენტებთან ფიზიკური ანგარიშსწორებისაკენ.

ჩვენ გავინტერესებს: იღებს თუ არა სმაკს ხელმძღვანელობა და პირადად თქვენ პასუხისმგებლობას პოლიტიკურ მონაწილეობაზე ფიზიკური ანგარიშსწორებისაკენ მოწოდების გამო. თუ ასეთი საფარო მონაწილეობის ავტორი სმაკს ლიდერები კანონის წინაშე აგებენ პასუხს?

ჩვენ მსრუც ვაცხადებთ: სოციალისტური პარტიის თითოეულ წევრზე აღმართული ხელი მიუღს პარტიაზე განხორციელებული თავდასხმა. პარტიის მთავარი კომიტეტი მოუწოდებს სოციალისტური პარტიის ყველა წევრს, — არ აწყენენ პროვოკაციებს და შეინარჩუნონ სიმშვიდე ჩვენ არ დავეშუქებთ პოლიტიკური კვლავ კრიმინალური მეთოდების დანერგვას. მაგრამ თუ ხელისუფლება ძირშივე არ აღკვეთს

ინტერვიუ რუსთავის მერთან — მირაბ ტყეშელაშვილთან

— ბატონო მირაბ, ახლახანს თქვენ ვიზიტად იმყოფებოდით საფრანგეთში, სადაც გაიმართა დამოუკიდებელი ქალაქების კონფერენცია. ქართულმა მხარემ პირველად მიიღო მონაწილეობა და მას რუსთავი წარმოადგინდა. რა მიზანს ისახავდა კონფერენცია და როგორ გახდით კონფერენციის მონაწილე?

— თავის დროზე დამოუკიდებელი ქალაქების ასოციაციაში მხოლოდ საფრანგეთის დამოუკიდებელი ქალაქები შედიოდნენ, შემდეგ ამ გაერთიანებამ ფართომასშტაბიანი სახე მიიღო და მსოფლიოს დამოუკიდებელი ქალაქების გაერთიანება გახდა. ქეთხეთმეტე კონფერენცია, რომელიც ახლახანს ჩატარდა, ერთ-ერთ საკითხად არჩევნების ჩატარებას და სათათბიროს ახალი ხელმძღვანელობის არჩევას ისახავდა მიზნად. ჩვენ სათათბიროს წევრები არ ვიყავით, ამიტომ, როგორც სტუმრები, ისე მიგვიწვიეს დღეს ქვეყნების ქალაქებთან ერთად. საქართველოდან მხოლოდ ორი ქალაქი — რუსთავი და ცხინვალი გახლდათ წარმოდგენილი კონფერენციაზე.

ჩვენ დავეყენეთ საკითხი, რომ საქართველო ამ გაერთიანების ოფიციალური წევრი გამხდარიყო. ქართულ მხარეს სათათბიროში ერთი ხმის უფლება მიანიჭეს. მომავალში მსოფლიოს დამოუკიდებელი ქალაქების გაერთიანებაში საქართველოდან გაერთიანდებიან, პირველ რიგში, გორი და ფოთი. კონფერენციაზე რუსთავის დელეგაციის სახელით გადავეცი თხოვნა, შეეთავაზებინათ, რომ 2000 წლამდე აშენდეს დამოუკიდებელი ქალაქთა მუზეუმი, სადაც პირველი ჩვენი საჩუქარი

რუსთავი მსოფლიოს ქალაქებს დაუკავშირდა

დაიდება. ეს საჩუქარი კი გახლავთ ქვისაგან დამზადებული ფოლადის დულილის სიმბოლო, სიმბოლო ცხოვრებისა, დნობისა... — ცნობილია, რომ შემდეგი კონფერენციის ჩატარება გათვალისწინებულია საქართველოში, ვინ იქნება მათი მასპინძელი?

— ჩვენ დავეყენეთ საკითხი, რომ მსოფლიოს დამოუკიდებელი ქალაქების მერთა შეკრება კავკასიაში ჩატარებულიყო, სადაც განიხილავდნენ კავკასიის პრობლემებს. კონფერენციაში მონაწილეობას კავკასიის ქალაქების მერებიც მიიღებენ. საკითხს კონფერენციის ჩატარების ვადის დასადგენად აღმასრულებელი საბჭო სექტემბრისთვის გადაწყვეტს. უნდა აღინიშნოს, რომ მათი ვიზიტი ჩვენთვის არანაირ ფინანსურ ხარჯებთან არ არის დაკავშირებული, პირიქით... აქედან გამომდინარე შემოსავლებიც იქნება. დამოუკიდებელი ქალაქების ასოციაციაში აქვთ შენატანი — სანჯერო გადასახადი, რომლითაც ნებისმიერი ამგვარი შეხვედრები ფინანსდება.

— რას ელით კონკრეტულად, თუკი შემდეგი კონფერენცია მართლაც საქართველოში ჩატარდება? — რას ველი? სხვა ქვეყნებისაგან ყურადღებას კავკასიისაკენ, საქართველოსკენ ეთხოვონ

ფლიტები 21-ე საუკუნის მიჯნაზე ძალზე გამწვავდა ბევრ ქვეყანაში. ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ ეთნოკონფლიქტებთან დაკავშირებული კონფერენცია ჩვენთან ჩატარდება და არა სხვაგან. ჩამოვლენ უცხოელები და საკუ-

ყავი ჩამოვარდება და თავში დაეცემა. ახლა გახდით სამასი წლის — გაბრაზდა კაცი. ჩვენი ყოველი დღე ამ პრობლემებზეა მიმართული. ახლა გამოვიდა მწყობრიდან წყლის სისტემა. თუმცა, როცა იგი გაკეთდა, თავის დროზეც არ იყო სწორად მოფიქრებული. ამის შესახებ ხმაური თავად ავტებზე, თუმცა გარკვეულწილად უკან შემოგვიბრუნდა...

— თქვენი მერად დანიშნის შემდეგ რუსთავი კულტურის ერთ-ერთ ცენტრად იქცა. ტრადიციული გახდა თეატრალური ფესტივალები... — მე როცა პრეზიდენტთან შევედი ქალაქის მერად დასამტკიცებლად, ოთხიდან გამოსვლისას დამიძახა და გამაფრთხილა: კულტურას მიხედეთ. ეს ჩემთვის სასიამოვნო იყო და დიდი სტიმული...

— ექვსასწლოვანი ისტორიის მქონე და ამასთან საქართველოში ყველაზე ახალგაზრდა ქალაქი — რუსთავი შემოადგომაზე 50 წლის იუბილეს იზეივებს. როგორ ეშვადებით ამ დღისთვის, რა კეთდება საიუბილეოდ? — საიუბილეოდ მზადდება უკვე დიდი ხანა დავიწყებული მიმდინარეობს გზების დაგება: ისეთი გზებისა, 20 წელი რომ არ შეკეთებულა.

დავინყუთ რამდენიმე ადგილზე ცენტრის მშენებლობა. ქალაქის შემოსასვლელში კეთდებოდა მოედანი. ქალაქის შემოსასვლელს მთელ თავისი სახე ექნება, რომ იგრძნოს რუსთავში შედიხარ. ქალაქში კეთდება მეორე ალი, მონუმენტური, მხატვრის სახლი, მასწავლებელთა სახლი, არქიტექტორთა სახლი, შენდება ახალგაზრდული ცენტრი — ეს იქნება შუშის პირამიდა, მიმდინარეობს მწერალთა სახლისა და კულტურის სახლის რემონტი.

საიუბილეოდ მზადდება მრავალი ღონისძიება. სტუმრებს უმასპინძლებს თეატრალური ფესტივალი „ოქროსი ნიღაბი“ და მოსწავლე-ახალგაზრდობის კონკურს-ფესტივალი, მოქანდაკეთა საერთაშორისო ფესტივალი. კონფერენციები, სპორტული ზეიმები, ჯვართამალებების დიდებული დღესასწაული, რუსთავ-ქალაქობა. გასაგებია, რომ მოსახლეობის გაჭირვების გამო ქალაქს შეიძლება არ ეზიზიზებოდეს, მაგრამ ჩვენ ყველა შესაძლო პირობებს შევქმნით მათთვის საამისოდ... შეძლებისდაგვარად დროულად დროგდება პენსიები, ხელფასები...

— როგორია არქიტექტორის თვალით დანახული მომავლის რუსთავი? — არქიტექტურა ფილოსოფია ერთგვარად არქიტექტურა ადამიანს უქმნის პირობებს, რომ იცხოვროს, მშვენიერების სედავით განიცდიდეს...

რუსთავი ისეთი მინდა წარმოვიდგინო, სადაც ხესაც, ქვასაც, ბალახსაც, თავის ადგილი ექნება. მინდა ისეთი საძირკველი ჩაგყარო, ვინც ჩემს შემდეგ მოვა, მისი დანერგვა აღარ დასჭირდეს. **მანანა კვიციანი**
ნანა კვიციანი



თარი თვლით ნახვენ ყველაფერს, რასაც ინფორმაციის სწორად გატანისათვის ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს. ეს ერთგვარად ინფორმაციული ომის მოგების სანინდარი იქნება...

— რუსთავში თქვენი არეოვნისა ელექტროენერჯის გამომტვის გამო გაჩერდა ქიმიური და მეტალურგიული კომბინატი, დაზიანდა წყლის სათავე ნაგებობა, რის გამოც ქალაქს წყლის მოწოდება შეუწყდა. საერთოდაც, წყლის პრობლემა რუსთავისთვის არახალია. რა მდგომარეობაა დღეს? — ერთი ხუმრობა მაგონდება: კახელი წვეს ხის ძირში.

გონიერებას არ «ექვემდებარება»

მტკიცედ გვეჯერა, რომ ვალერი კვარაცხელიას, იგორ კვესელავასა და გრიგოლ უვანიას ერთობლივი ოპუსი „დავინყვებას არ ექვემდებარება“ (ამ შემთხვევაში სიტყვა „ექვემდებარება“ რუსული კალკია და ცხადია, სათანადო ქართული სიტყვის მოძებნა სულაც არ არის ძნელი), ჩვენი საზოგადოების მხრიდან მეტი ინტერესის გამოჩენასა და, აქედან გამომდინარე, მეტ რეაგირებას საჭიროებს. გარდა „რესპუბლიკისა“ (იხ. მარტის ნომერი), იგი დაიბეჭდა, აგრეთვე ბროშურის სახითაც; ამჯერად, სახელწოდებას ემატება: „1992-93: სამეგრელოს ტრაგედია“.

რასაკვირველია, სამი ავტორის ერთობლივი სტატია დიდ ყურადღებას სულაც არ იმსახურებს თავისი რაიმე მეცნიერული ან სხვა დადებითი ფასეულობით, არამედ სულ სხვანაირი მნიშვნელობის გამოისახებით. ერთობლივ სტატიაში დაბნეულია ჩვენი დღევანდელი და ახალი წარსულის აქტუალური საკითხები. განსაკუთრებით, 1992-93 წლებში „მხედრონის“ მიერ სამეგრელოს მოსახლეობის დარბევა. თუ ავტორებს დაუფურცებთ, უნდა ვიფიქროთ, რომ სტატისის წერა მათ დაუწყიათ გასული წლის მაისის დასაწყისიდან მაინც (იხ. ბროშურის 49-ე გვერდი) და დაუბეჭდებინათ 1997 წლის ბოლოს. მაშასადამე, ოპუსის დასაწყისად სამ ავტორს (თანაც „აკადემიკოსების“ რანგში) მიეღი რვა თვე დაუხარჯავს. ჯერჯერობით, „ერთობლივი შემოქმედების“ ძირითად იდეებზე რომ არაფერი ვთქვათ, ფაქტია, რომ მათ სათანადო წყაროების გამოიხეურებაზე დიდად არ უზრუნიათ და, ცხადია, არც ახალი ფაქტების დადგენა მოუხერხებიათ. ამ მხრივ, ინი იფარგლებანი რამდენიმე საგანზეთი უბედურაკაციები, რომლებიც ბევრისთვისაა ცნობილი. ასე რომ, ავტორთა საკმაო ხანგრძლივობის კოლექტიური ძალისხმევის შედეგად ერთობ მოკრძალებულია: შედეგად, მიუღიათ ოდენ უბედურ-ცისტური ხასიათის (ისიც მდარე ღონისძიება) ნაშრომი.

ვალერი კვარაცხელია იგორ კვესელავა და გრიგოლ უვანა ბროშურის 25-ე გვერდზე აღნი-

შნავენ: „ჩვენი მიზანია, ზოგიერთი კონკრეტული ფაქტის ჩვენებით და გარკვეული განზოგადებით, თვალსაჩინო გახადოთ ის საველადო მდგომარეობა, რომ თურმე ჩვენში ჯერ კიდევ არაა ბოლომდე აღმოფხვრილი კუთხურობა და გათიშულობა; თურმე მავანთა მეცადინეობას შეუძლია ისე გააღვივოს ეს მომენტები, ზოგიერთ გადაგვარებულ ადამიანში ისეთი მხეცური ინსტიქტების აფეთქება გამოიწვიოს, რომ თუნდც მეტნაკლებად კულტურული და ცივილიზებული ადამიანების წარმოგვინებს და წარმოსახვის საშუალებებს სარცრად გაუსწროს“.

9. ივნისს გამოქვეყნებულ ერთობლივ პასუხშიც (ალექსანდრე ონიანისადმი) იგივეა გამოვრებული. აქვეა აღნიშნული, რომ ამ სინამდვილეს არ უნდა ნაუფრუთი და „სირაქლემას კომპლექსისგან“ განთავისუფლებულემა პრობლემა სათანადოდ უნდა გავიცნობო-ერთო. აღნიშნულის თაობაზე ავტორებს ვერ შეეკამათებ, მაგრამ სტატისის (ბროშურის) სხვა ადგილებში ისინი დაბეჯითებით გვიმტკიცებენ, რომ სამეგრელოს რეგიონში რაიმე მსგავსი ტენდენცია გამოიხატებოდა, კერძოდ, თითქოს, ასევე იყო 1992-93 წლებში.

ბროშურის მე-20 გვერდზე ვკითხულობთ: „მეგრული სეპარატიზმი“ არ არსებობდა და ამჯერადაც არ არსებობს... „მეგრული სეპარატიზმის“ შესახებ ყოველი ახალი მოსაზრების სათავე გარეშე ძალებში უნდა ვეძიოთ“. 53-ე გვერდზე დამონებულა და „გაზარებულია „ცნობილი პოლიტიკოლოგ-მკვლევარის“ ალექსანდრე ჭაჭიას სიტყვები: „... მიუხედავად იმისა, რომ მეგრელებს ძალიან ბევრი სამართლიანი საფუძველი ჰქონდათ ნაწყენი ყოფილიყვნენ, სამეგრელოში ვერ ნახავთ ერთ ოჯახსაც კი, სეპარატისტულ მარცვალს რომ აღვივებდეს... სეპარატისტული შეფერილობის საკითხი იქ არც დადგარა და არც ოდესმე დადგება“. თუ ლოგიკას რაიმე პატივს მივაგებთ, მაშინ, ამ შემთხვევაში, აშკარაა შეუსაბამობას ვაწყდებით: ერთი მხრივ, თითქოს სეპარატისტული ტენდენციები საქართველოს უკლებლივ ყველა

კუთხეშია, მაგრამ, მეორე მხრივ, სამეგრელოში ისინი გამოიხატებოდა. მეტიც, ავტორთა მტკიცებით, სამეგრელოს მოსახლეობას დიდი საფუძველიც ჰქონია განწყობებისა. მოვიტანო შესაბამის ადგ-



ილებს: „ჩვენ ვერსად ვერ გავქვეყნებთ იმის აღიარებას, რომ ლაპარაკია არა მხოლოდ და არა იმდენად სისასტიკის ცალკეულ ფაქტებზე, არამედ მთელი მოსახლეობის მოქალაქეობრივი და ადამიანური უფლებების ხელაღებზე თვალსაზრისით“ (გვ.52); „სამეგრელოს სიძულვილით დაბრმავებულთა მისამართით კი უნდა განვაცხადოთ: ყოფნის სამეგრელოს მრავალგზის აოხრებით და დარბევით გამოწვეული გაჭირვება“ (იქვე); „რალა გვინდა, რალას დავეყვებოთ, რალა დაგვჩა მინასთან გასასწორებელი ამ ისედაც ბედკრულ და განუკითხავ მხარეში“ (გვ.48); „მართლაც ბოლომდე უნდა ამოვადგოთ ჩვენი საკუთარი ჯიში და ჯილაგი“ (იქვე); თურმე, სამეგრელო „მართლაც სამკვედრო-სასიცოცხლოდ“ ყოფილა დამპირ-სპირებული „ვილაცასთან“ ან „რალაცასთან“ (გვ.34). მკითხველებს აქ მრავალი თავსატეხი უჩნდება: რაში ჩანს სამეგრელოს მკვიდრთა „ჯიშისა და ჯილაგის“ თუ ბოლომდე არა, ნაწილობრივ

მაინც, ამოგდება, „მოქალაქეობრივი და ადამიანური უფლებების ხელაღებით შეღავა“, როგორ მოხდა ამ რეგიონის „მრავალგზის აოხრება და დარბევა“, „მინასთან გასწორება“, ვინაა ეს ურჩხულისებური „ვილაცა“ ან „რალაცა“ და ა. შ. სტატისის (ბროშურის) ავტორებმა იქნებ სხვა დროს მაინც გაავარკვიონ ამ საკითხები.

თურმე, „სწორედ იმ პერიოდში (ვი. 50-იან წლების დასაწყისში, გ.ვ.) ნაწილად მეგრელებისადმი სახელმწიფო ორგანოების წმენდის კამპანია, რომლის შემდეგაც ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს მრავალსაფეხლო კაცისაგან შემდგარ აპარატში მხოლოდ ათიოდე კაციღა იქნა შენარჩუნებული. ასე გრძელდებოდა თითქმის ორ ათეულ წელიწადზე მეტხანს“ (გვ.9). დედად ვეჭვობთ, რომ თქმული შეფარდებოდეს სინამდვილეს; მსგავსი რამის მტკიცება არ შეუძენს უბრალო, უტყულო (სამეცნიერო) მოკვდავთაც კი, მითუ-მეტეს — სამ „აკადემიკოსს“. 52-ე გვერდზე ისინი უარესსაც გვაძენობენ: თურმე, აღნიშნული პერიოდის შემდგომაც, მრავალ ასეულ კ.კ.კ.გან პასუხისმგებელ სამუშაოებზე ერთი ან ორი მეგრული წარმომავლის ქართველის დანიშნულება თუ ხდება (!). ჭეშმარიტად, ქალაქი ყველაფერს იტანს! მერს გვერდზე აღნიშნულია: „1990 წელს, პირველად საქართველოს საბჭოთა პერიოდის მანძილზე რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარედ დანიშნულ იქნა სამეგრელო და სახელმწიფო მოღვაწეობის დიდი გამოცდილების მქონე კარგი ორგანიზატორი ნოდარ ჭითანავა“. წინადადების აზრი ჩვენთვის გაუგებარია: აქ იგულისხმება ან: 1) მთელი სამოცდაათი წლის მანძილზე პირველად დანიშნა ამ პოსტისათვის შესაფერისი პიროვნება; ან: 2) რომ ბატონი ნოდარ ჭითანავა ამ პოსტის დაკავება მანამდეც იმსახურებდა, მაგრამ ეს მოხდა მოგვიანებით, 1990 წელს. ვფიქრობთ, სამი „აკადემიკოსი“ აქ იმის გულისხმობენ, რომ პირველად მოხდა მეგრული წარმომავლის კაცის ხსენებულ პოსტზე აღზევება,

მაგრამ 70 წლის განმავლობაში ხომ ცუკას პირველი მდივნის პოსტი (უფრო მაღალი თანამდებობა) სამეგრელოს რეგიონი სამ წარმომადგენელს ეჭირა (შეგახსენებთ, ქართლ-კახეთიდან მხოლოდ ერთმა დაიკავა ეს ადგილი). შემდეგაც ხომ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის, პრემიერ-მინისტრის პოსტებზე მუშაობდნენ ბატონები: თენგიზ სიგუა (ორჯერ) და ბესარიონ გუგუშვილი — ასევე მეგრული წარმოშობის ქართველები. მეტსაც ვიტყვოდით, 1990 წლის ოქტომბერში ხომ ქართველი ხალხის უმეტესობამ არჩევნებში ხმა მისცა „მრგვალ მაგიდას“, რომლის სათავეში ზვიად გამსახურდია იდგა, ხოლო მომდევნო წლის მაისში 87 პარტიცმა იგი პრეზიდენტად აირჩია. ამჟამინდელი მოწვევის პარლამენტშიც ხომ მისი თავმჯდომარე და ერთ-ერთი ვიცე-საკუერი ამავე კუთხიდან არიან! სტატისის (ბროშურის) ავტორ-აკადემიკოსები შეეცადნენ სამეგრელოს მცხოვრებთა მიმართ ამგვარი „ანტიგაონისტური“ დამოკიდებულების მიზეზის დადგენას. ისინი წერენ: „ასეთ რამეს არ შეიძლება საფუძვლად პოლიტიკური მოფლმხედველობის განსხვავებულობა ედოს. ასეთ რამეს ეთიკური, რელიგიური, სახელმწიფოებრივი ან რასობრივი მომენტები შეიძლება განსაზღვრავდეს. უკანადაბრუნებულ სამი ავტომობილურად გამოირიცხება, რჩება მხოლოდ უინკურ. სამეგრელოს ქართველობის ასე ფანტაზმადმე მისული სიძულვილი მხოლოდ მეგრელობის გამო შეიძლება“ (გვ.34). სხვაგან (იხ.გვ.52-53) მიზეზი ასეა დაკონკრეტებული: „... ნუ დააბრუნებლენ მეგრულ „სეპარატიზმს“ რომელიმე თქვენგანის ვაჟიშვილის, ან ქალიშვილის ნაკლებ ნიჭიერებას, ნაკლებ წარმატებას...“ მაშ, ასე: დამოიგონეს რალაცა ჭეშმარი — დანარჩენი საქართველოს სიძულვილი სამეგრელოსადმი (მიჭიას ამის დანერგა) და შემდეგ შეეცადნენ მიზეზის გამორკვევას. იგი, თურმე, მდგომარეობს კუთხურ წარმომავლობაში. მაგრამ როდესაც, ვთქვათ, გერმანიაში ანტისემიტობი იყო

აკადემიკოს პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკურ-ჰუმანიტარული ინსტიტუტი

თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის 5
ტელ: 99-60-20, 93-36-93, 99-59-09, 79-50-05 (საღამოს)

აბიტურიენტთა საცურადლო

თუ გასურთ: საერთაშორისო მოთხოვნების დონეზე დაუფლოთ ეკონომიკურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებს;

მოისმინეთ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა და ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსების, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და უცხოეთში სერთიფიცირებული პროფესორ-მასწავლებლების ლექცია-სემინარები; ისწავლოთ თანამედროვე კომპიუტერული სისტემით აღჭურვილ უმაღლეს სასწავლებელში;

შეისწავლოთ უცხო ენები თანამედროვე ტექნიკური საშუალებების გამოყენებით; ისწავლოთ ქალაქის ცენტრში; მიმართეთ აკადემიკოს პაატა გუგუშვილის სახ. საქართველოს ეკონომიკურ-ჰუმანიტარულ ინსტიტუტს, რომელიც აცხადებს მიღებას 1998-99 სასწ. წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

1. **სამართალმცოდნეობა** (სისხლის სამართალი, სამოქალაქო სამართალი, სამეურნეო სამართალი, საერთაშორისო სამართალი)
2. **ავტორიტარული ენათმეცნიერება**
3. **საბარო უწყვეტად მოსახსრება**
4. **ფინანსები და კრედიტი** (საგადასახადო საქმე, საბანკო საქმე, საბაზო საქმე, სახ. ბიუჯეტი, სადაზღვევო საქმე)
5. **საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების მენეჯერი** (საერთაშორისო ბიზნესი, საერთაშორისო სავალუტო-საგადასახადო ურთიერთობები)
6. **საბუღალტრო აღრიცხვა, აუდიტი, კონტროლი;**
7. **წარმოების ეკონომიკა და მართვა** (მარკეტინგი, მენეჯმენტი);
8. **საზღვარგარეთის მენეჯმენტი და ლიტერატურა** (ინგლისური, გერმანული, თურქული);
9. **ჟურნალისტიკა;**
10. **ისტორია;**
11. **ქართული ენა და ლიტერატურა;**
12. **დაწყებითი განათლების პედაგოგიკა და მეთოდები;**
13. **პედაგოგის ფსიქოლოგია — სპეციალური**
14. **საეკონომიკური მენეჯმენტი**

ინსტიტუტში სწავლის ხანგრძლივობა **ოთხი წელი**.
საბუთები მიიღება 2 აგვისტომდე, ყოველდღიურად (გარდა შაბათ-კვირისა) 11-დან 17-საათამდე III სართ. ოთახი 507. მისაღები გამოცდები დაინიშნება 3 აგვისტოდან. II ეტაპზე საბუთები მიიღება 25 აგვისტომდე. გამოცდები 26-30 აგვისტოს.

საბუთები — საშუალო ან საშუალო სპეციალური განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, ფოტოსურათი 3-4 ოთხი ცალი. ლტოლვილები და მრავალშვილიანი ოჯახის წევრები გადაიხდიან სწავლის საფასურის 80%-ს. წარჩინებული სტუდენტები განთავსდებიან ფულადი და დასახარების სახით და დაინიშნებიან სტიპენდიის მიღებამდე. ინსტიტუტში ფუნქციონირებს ბიბლიოტეკისა და უცხო ენების შემსწავლელი კურსები. მომავალში გათვალისწინებულია ბაზრის კონსულტურის შემსწავლელი ცენტრის დაარსება და მასში ინსტიტუტის სტუდენტების დასაქმება.

უმაღლეს დამთავრებულებს გასაუბრებით ჩაირიცხებიან შესაბამის კურსზე.
საბუთები — უმაღლესი განათლების დიპლომის ასლი და ფოტოსურათი 3-4 ოთხი ცალი.

ინსტიტუტის დამფუძნებელია საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია. რექტორია ამ აკადემიის პრეზიდენტი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი პროფ. ლეო ჩიქვაძე.

შენიშვნა: ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე იქნება სპეციალიზაცია შემდეგი განხრით: ჟურნალისტიკა-ეკონომიკური, ჟურნალისტიკა-საზოგადოებრივი, ჟურნალისტიკა-საგადასახადო, რადიო-ჟურნალისტიკა და საგაზეთო საქმე.

სტუდენტები ხელშეკრულების საფუძველზე საგაზეთო საქმეს პრაქტიკულად შეისწავლიან გაზეთ „საქართველოს“ რედაქციის ბაზაზე. ტელერადიოჟურნალისტიკის შესაბამის ტელერადიოკორპორაციისთან შეთანხმების საფუძველზე.

სათანადო მონაცემების მქონე სტუდენტებს (შერჩევით) შესაძლებლობა ექნებათ იმუშაონ გაზეთ „საქართველოს“ რედაქციაში. რედაქციის ტელ: 93-20-36, 93-18-41.

თბილისის ეკონომიკური და პედაგოგიური ინსტიტუტი ახსნავს აბიტურიენტთა მიღებას 1998-1999 სასწავლო წლისათვის დღისა და დაუსწავლელი განყოფილების შედეგად სასწავლო გეგმის მიხედვით

1. **იურიდიული** — სპეციალობა სამართალმცოდნეობა.
2. **დაწყებითი განათლების პედაგოგიკა და მეთოდები.**

სწავლა ფასიანია. სამართალმცოდნეობის სპეციალობაზე გადასახადი — 150 ამერიკული დოლარის ექვივალენტური ეროვნული ფული. დაწყებითი განათლების პედაგოგიკა-მეთოდის სპეციალობაზე — 120 ამერიკული დოლარის ექვივალენტური ეროვნული ფული. საორგანიზაციო ხარჯების გადასახადი 20 ლარი. ჩარიცხვა (გასაუბრებით).

გასაუბრება ჩატარდება სამართალმცოდნეობის სპეციალობაზე:

1. ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).
2. საქართველოს ისტორია (ზეპირი)

დაწყებითი განათლების პედაგოგიკა-მეთოდის სპეციალობაზე:

1. ქართული ენა და ლიტერატურა (წერა)
2. მათემატიკა (ზეპირი)

აბიტურიენტთა უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:

1. განცხადება რექტორის სახელზე;
2. საშუალო განათლების ატესტატი (დედანი);
3. ოთხი ფოტოსურათი-ზომით 3X4
4. პასპორტისა და სამხედრო მონიშნების წარმოდგენა პირადად.
5. ლტოლვილები სწავლის საფასურს იხდიან 20%-ით ნაკლებს.


საბუთების მიღება — 1 ივნისიდან 25 აგვისტომდე, ყოველდღე, გარდა შაბათ-კვირისა, 10-16 საათამდე.

გასაუბრება ჩატარდება ორ ეტაპად: I. 25-26 ივლისი. II. 26-27 აგვისტო. მოზარდებით, ველით იმ აბიტურიენტებს, რომელთა მიზანია დიპლომთან ერთად მიიღონ საუკეთესო განათლება.

მისამართი: ალ. ყაზბეგის გამზირი (ყოფილი პავლოვის) №39. მეტრო „დელისთან“, მე-60 სკოლის შენობაში.
ტ: 39-74-29, 39-39-92.

მიმღები კომისია

კ რ ო ს ვ ო რ დ ი



თარგმანად: 7. ომის მომხარებლის და წარმართვის ხელოვნება; 8. უმუშევრობისათვის სამუშაოს გამოძებნა; 10. საქონელგაცვლით ვაჭრობა; 11. რაიმე მოძღვრების მიმდევარი და დამცველი; 12. შორი მანძილიდან გვერდული დარტყმა კრეშში; 16. რაიმე წარმის ერთობლიობა; 18. სურნელოვანი ბუსუსებიანი კურკოვანი ხილი; 19. სიცილიური წარმოშობის კრიმინალური ორგანიზაცია; 20. მსხვილმრეწველთა მონოპოლისტური გავრთიანება; 21. მთავარი მომღერალი სინაგოგაში; 25. სპეციფიკური გემოსა და სუნის მქონე ტროპიკული ხილი; 26. უდემამო; 27. სამსახურებრივი დავალებით სხვაგან გამგზავრება; 30. ნაღდი ფულით ანგარიშსწორება მრწამსების დავალებით; 33. აზარტული თამაში კამათლებით; 34. ძველ ბერძენი ფილოსოფოსი; 35. მკვიდრი მოსახლე; 36. იაპონიის უძველესი რელიგია, იმპერატორის გაღრმავება.

შეხვედრად: 1. საქონლის დამზადების ნორმატივების ერთობლიობა; 2. სპორტული შეჯიბრის დასაწყისი; 3. სესხის საგარანტიოდ დატოვებული წინდი; 4. წვრილი ფულის ხუთერთეულიანი მონეტა; 5. საბუღალტრო ბალანსის მარცხენა მხარე; 6. სასესიო ვალდებულების მომგებიანი ფასიანი ქაღალდი; 9. სამოქმედოდ ნაშახალისებელი მიზეზი; 13. გავლენიანი პირის მფარველობა რაიმე საქმიანობაში; 14. ფულადი სახსრები; 15. რომელიმე სახელმწიფოში საქონლის იმპორტ-ექსპორტის აკრძალვა; 17. კომერცია; 22. კაპიტალის ჩადება რაიმე საქმიანობაში; 23. მუდმივი მომხმარებელი; 24. რაიმე ამოცანის ამოსახსნელი პროცედურების თანამიმდევრული ერთობლიობა; 28. ტირში თანხმობის პირები; 29. ამერიკელი მეფე; 31. კელტური გვაროვნული თემი; 32. ძვირფასი ლითონების ნონის ერთეული მეტრული სისტემის შემოღებამდე.

ჩვენს თანამშრომელს, ნიჭიერ ჟურნალისტსა და სიცოცხლით სავეს ახალგაზრდას, **ნანა კვიციანიას**, ვულოცავთ დაბადების დღეს. იყავი დღევანდელი, ბედნიერი, ყოველთვის მომხიბვლელი. ისარე და გაგვასარე. შენი კოლეგები და მეგობრები გაზეთ „საქართველოდან“.

ჩვენს ძვირფას, საყვარელ მეუღლეს, მამას და ბაბუყას **გურამ არიშიძეს**, ვულოცავთ დაბადების დღეს. ვუსურვებთ მხნეობას, ჯანმრთელობას, დიდხანს სიკეთეს და უღვე სიხარულს. ტკბილად შებერებოდეთ ერთმანეთს. ნანა, ლათო, ბიბინა, საშურა, მაკა.

ზურიკო ტაბატაძეს და **ნუნუკა ძიტიასვილს** ვულოცავთ გაბედნიერებას. ვუსურვებთ მრავალშვილიანობას, დიდ სიყვარულს და უღვე სიხარულს. ტკბილად შებერებოდეთ ერთმანეთს. გაზეთ „საქართველო“ რედაქცია

გამოიწერეთ გაზეთი „საქართველო“

ხელმოწერა შეიძლება თბილისის პრესის გავრცელების სააგენტო საზოგადოება „მაცნეს“ ხელმოწერის რაიონულ უბნებში შემდეგ მისამართებზე:

- მოსკოვის გამზირი 18, ტელ. 71-32-87
- გლდანის რაიონი, დუშაბაძის 4 (ა) კორპუსი, ტელ. 62-75-32
- დგურამიშვილის გამზირი 30, ტელ. 60-80-22
- ივ.ჯავახიშვილის (კალინინის) ქ. №14 ტელ. 95-87-36
- ქეთევან წამებულის გამზ. 61, ტელ. 74-14-47
- აკ.წერეთლის გამზ. 73, ტელ. 34-75-51
- რთაბუჯაშვილის ქ. №12
- ჭავჭავაძის გამზ. 46, ტელ. 22-64-58
- ცენტრალური ოფისი, კვამისხურდიას გამზ. 42, ტელ. 37-47-49, 93-43-97.

ორგანიზაციებს შეუძლიათ, მიიწვიონ „მაცნე“-ს წარმომადგენელი ხელმოწერის გასაფორმებლად. ხელმოწერის შეუძლია აირჩიოს ჟურნალ-გაზეთების მიღების მისთვის ხელსაყრელი ფორმა.

წინა ნომრის კრედიტის პასუხები

თარგმანად: 2. კოკარდა; 7. კევი; 8. ზოლი; 9. რესტრო; 10. მუნი; 12. ალაო; 15. სამოა; 18. კუპრი; 19. ლექსი; 20. რახტი; 21. აგური; 22. ზოლოტი; 23. აბედი; 26. ელია; 29. ჭილი; 31. რექტორი; 32. აქტი; 33. ქილა; 34. აბაზანა.

შეხვედრად: 1. ზებუ; 2. კირი; 3. კრება; 4. რეტრო; 5. აზია; 6. ელბა; 10. მაკრამე; 11. ნეკტარი; 13. ლექტორი; 14. ოზირისი; 15. სირია; 16. მესრე; 17. ალიზი; 24. ბაქია; 25. დროშა; 27. ლექსი; 28. არია; 29. ჭიქა; 30. ლალი.

მთავარი რედაქტორი
სპრბო ჯანაშია

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის
მიმღები: 93-18-41

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447

გაზეთის ღირებულება: **ელგუჯა ჩხაიძე**
რედაქცია: ანა ჯუღელი (რედ. მთავარი), ზაზა ალდაშვილი (კომერციული დირექტორი), ვაჟა თვალაძე (პოლიტიკის განვ. რედაქტორი), კობა კაპანაძე (სამართლისა და რეგ. პოლიტიკის განვ. რედაქტორი), ნუგზარ კობლაშვილი (გავრცელების სამსახური), **კორმასონდანი** ტბი: კობა ბრეგვაძე, ქეთი ჩაღნელი, ქეთი გუგუაძე, სათუნა ხატიაშვილი, ნათია ჭანტურია, მანანა ლობჯანიძე, ნანა ტყელაძე, ლათო ავალიანი.

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. გამოქვეყნებულ მასალებზე პასუხს აცხადებენ ავტორები.

დამფუძნებელი და გამომცემელი საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444

პირამეტრები: აპალია ვოგრაიშვილი, ამირტა ჯანაშია